



**ციბეხანი**

№ 19  
22 თებერვალი - 1 მარტი / 2010

პრეზიდენტის ლოკისტები **33. 15**

მარკ მალენი: საქართველოს ერა **33. 14**

უკრაინა: გამარჯვებულები და დამარცხებულები **33. 22**

გაერთიანების მეორე მცდელობა **33. 8**

მედია ხელისუფლებას მოძალაძეებისგან იცავს **33. 30**

მტრის ხატი სკოლებში **33. 32**

ომის დამნაშავეები **33. 28**

VS: სჭირდება თუ არა ქალაქს ახალი მაგისტრალი? **33. 12**

უკრაინის არჩევნები და ქართველი ლიბერალები **33. 43**



**რუსეთი ჩიხია** **33. 18**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი





**ნომარში:**

- 02 რედაქტორი
- 04 შემოსული წერილები
- 06 მოკლედ
- 08 ვრცლად
- 12 **ორი აზრი**  
სჭირდება თუ არა ქალაქს ახალი მაგისტრალი?  
გიორგი ლიპარტია V.S.  
კოკა ამირეჯიბი
- 14 **თვალსაზრისი**  
საქართველოს ერთ მარკ მაღენი
- 15 **კვლევა**  
საქართველოს მიერ ლობირების მცდელობები
- 17 **კომენტარი**  
აქე და ერიდე  
**პოლიტიკა**
- 18 რუსეთი ჩიხია  
**მეზობლები**
- 22 გამარჯვებულის

პორტრეტი და სცენარი  
დამარცხებულისთვის



**კონფლიქტები**  
25 ალიარე ან წადი  
**ადამიანის უფლებები და სამართალი**  
28 ომის დამნაშავეები  
30 **არასამთავრობოები მედიის წინააღმდეგ**  
მედია ხელისუფლებას მოქალაქეებისგან იცავს

**საზოგადოება**

- 32 როგორ იხატება მტერი
- 34 **ჯანდაცვა**  
ახალი „100 ახალი საავადმყოფო“
- 36 **სიახლეები ჯანდაცვის სფეროში**  
ერთი ნაბიჯი ხელმისაწვდომი ჯანდაცვისკენ
- 38 **ადამიანის უფლებები**  
აუზი – შეზღუდული შესაძლებლობა
- 40 **თამბაქოს მოხმარება საქართველოში**  
მწველები და არამწველები მენარმეებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ
- 42 **გამოსათხოვარი**  
ოლიმპიური ოცნება  
**საუბრები ლიბერალიზმზე**
- 43 უკრაინის არჩევნები და მისი მნიშვნელოვნება საქართველოსთვის

**ბარეკანზე:**

რუსეთი ჩიხია





„სიამაცე ბევრნაირია, – თქვა ღიმილით. – რა თქმა უნდა, დიდი ვაჟკაცობაა წინ ალუდგე მტერს, მაგრამ არანაკლები ვაჟკაცობაა, შეენინაალმდეგო საკუთარ მეგობრებს. ასე და ამგვარად, ათი ქულა – მისტერ ნევილ ლონგბოთომს!“

ეს კეთილი ჯადოქრის, დამბლდორის სიტყვებია და სწორედ ამ ათმა ქულამ მოუტანა ჰარი პოტერის გუნდს, გრიფინდორს გამარჯვება „ფილოსოფიურ ქვაში“. ლონგბოთომის სიამაცის გარეშე, ვერც მისტერ რონალდ უისლის საჭადრაკო პარტია, ვერც ჰერმიონ გრეინჯერის ცივი ლოგიკა და ვერც ჰარი პოტერის ნებისყოფა და არაჩვეულებრივი სიამაცე ვერ გაიმარჯვებდა.

ბოლო დროს, სულ ეს მახსენდება. მგონი ასეთი სიამაცის ნაკლებობის გამო ვართ „მტრის ბანაკებზე“ დაყოფილი. როგორც თეა თუთბერიძის საგა იყო ამ საზოგადოების ლაკმუსის ტესტი, ზუსტად ისევე იქცა ვახო კომახიძის ამბავი ჩვენს სარკედ. მუდმივად ვეძებთ და ვქმნით გმირებს და ანტიგმირებს. ამ დროს არც ერთი გმირი და არც მეორე – ანტიგმირი.

თუთბერიძის შემთხვევაში, სასწორზე იღო ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლება – გამოხატვის თავისუფლება. თეა თუთბერიძის პერსონა და პოლიტიკური კონტექსტი მეორეხარისხოვანი იყო. ვახოს შემთხვევაში, პოლიტიკურმა პროექტმა „რეალ ტვ“-მ სასწორზე ადამიანის სირაიდი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ჟურნალისტური ეთიკა დადო. ვახოს პერსონა და მისი კარიერა, ისევე როგორც პოლიტიკური კონტექსტი, აქაც მეორეხარისხოვანი უნდა ყოფილიყო.

ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევაში ეს ღირებულებები წყალგამყოფი არ აღმოჩნდა. ამ დისკუსიებში ჩართულების უმრავლესობამ, პოლიტიკური ლოიალობები ამჯობინა უფლებების დაცვისათვის ბრძოლას. მონოლოგი დიალოგად ისევე ვერ იქცა და მსჯელობის შედეგად, არავის შეუცვლია აზრი.

„ვარდების რევოლუციისთვის ყველაზე კონტრრევოლუციური ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ აღმოჩნდა. მართალი გითხრათ, გამიჭირდებოდა ამის წარმოდგენა“ – ეს ზაალ ანდრონიკაშვილის კომენტარია Facebook-იდან, სადაც სკოლების იდეოლოგიზაციაზე და „მტრის ხატის“ შექმნაზე იყო საუბარი. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ თემებიდან, სადაც ელემენტარულად თანმიმდევრული პოლიტიკის ნიშანწყალიც კი აღარ შეინიშნება. ხელისუფლებაში რომ ბევრი ლონგბოთომი ყოფილიყო, იქნებ კონტრრევოლუციური რეალობის წინაშეც აღარ დავმდგარიყავით?

„ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია ახალ, ვიდრე დაღვინებულ დემოკრატიაში. დიქტატორული ან ავტორიტარული რეჟიმის მემკვიდრე დემოკრატიული რეჟიმის წინაშე მდგარი ცდუნება, რომ საზოგადოების მიერ დაფინანსებული მედია „თავისად“ ჩათვალოს, შესაძლოა, გასაგებია, მაგრამ ძალიან დესტრუქციული. ის ახალ დემოკრატიას ართმევს იმას, რაც მას სასიცოცხლოდ სჭირდება დაღვინებისათვის, და შესაძლოა, გადარჩენისათვის – საერთო ინტერესების, საერთო მიზნების განცდას, რომელიც პოლიტიკურ კონფლიქტზე მაღლა დადგება. და თუ, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია, ქვეყნის წინაშე დგას გამოწვევა, რომელიც ძლიერი და აროგანტი ყოფილი დამპყრობელიდან მოდის, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი მით უფრო მნიშვნელოვანია გადარჩენის სტრატეგიისათვის... რაც უფრო პოლარიზებულია შიდა პოლიტიკური სიტუაცია, მით უფრო დიდია პროფესიონალური მედიის არსებობის აუცილებლობა, რომელიც გაემიჯნება პოლიტიკურ ექსცესებს...“ – შედეგთის საზოგადოებრივი მაუწყებლის გურუ, უვე იოჰანსონი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებს გველაპარაკებოდა, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მისი შეგონებები მთლიანად მედიის პასუხისმგებლობის საკითხს ეხება. ამიტომ „ლიბერალი“ მარტივად ყოველკვირეული ხდება და ოთხშაბათის ნაცვლად, ორშაბათიდან იქნება ხოლმე ჯიხურებში. შემდეგი ნომერი უკვე 1 მარტს გამოვა.

კიდევ ერთხელ დიდი და გულწრფელი მადლობა ფონდს „ღია საზოგადოება – საქართველო“ ნდობისათვის. მათი მხარდაჭერის გარეშე, სრულიად წარმოდგენილი იქნებოდა ამ მედია სივრცეში ჩვენი ჟურნალის არსებობა.

ძალიან დიდი მადლობა მკითხველებს, რომელთა რიცხვიც და ჩართულობაც გვაფიქრებინებს, რომ „ლიბერალის“ წარმატება ამ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია.

შორენა შავერდაშვილი  
მთავარი რედაქტორი  
shoren.shaverdashvili@gmail.com

რედაქტორი: შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუჭიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიანიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემპლანი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამომცემპლანი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბმულები: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი. www.liberali.ge



**ლიბერალი**

---

**ყოველკვირეული**

**„ლიბერალი“**


**1 მარტიდან**

ქურონალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვანოღეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)



### სამხედრო-პატრიოტული ალზრდა

ზაალ ანდრონიკაშვილი  
V.S. დავით დარჩიაშვილი  
ლიბერალი N18

საკაკაშვილის ახალმა მილიტარისტულმა გზავნილებმა უკვე თავის მიზანს მიაღწიეს. აკვირდებით, ეს დღეები რა ისტერიული „ფიცის დადების“ ცერემონიალები ტარდება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ? ბაგრატიის ტაძართან 2000-მდე ახალგაზრდამ ფიცი დადო, რომ არასოდეს „შეურიგდებიან ოკუპანტთა ბატონობას ქართულ მიწაზე“. დღეს კი ბათუმელი სტუდენტებიც „შეუერთდნენ“ მათ, ასეთი ფორმით – „წერილი იუდას“.

„ჩვენ არ დაუშვებთ, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების სისხლის სანაცვლოდ, კარი გავუღოთ რუსეთის ახალ იმპერიას; არ დაუშვებთ, რაც გარეშე მტერმა ვერ შეძლო, მოახერხონ თანამედროვე შადიმანებმა, სერგო ორჯონიკიძეებმა და ფილიპე მახარაძეებმა“. ცალკე თბილისელ სტუდენტებსაც დაუდიათ ე.წ. „ერთგულების ფიცი“ მუხათგვერდის სასაფლაოზე.

ასე რომ, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რასაც აკეთებს. ის აგრძელებს „კუდიანებზე ნადირობას“ უფრო ორგანიზებული ფორმით. თქვენ ის ნახეთ, ამ სტუდენტებს მოსწავლეებიც რომ შეუერთდებიან, მერე რა იქნება. ამიტომ, რა თქმა უნდა, სრულიად ვიზიარებ ზაალ ანდრონიკაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. თვალსა და ხელს შუა გვეცლება თავისუფალ საზოგადოებად ჩამოყალიბების პერსპექტივა, და თან ამ პროცესს ვერ ვაჩერებთ.

usa , 11 თებერვალი  
www.liberali.ge

ბავშვები უნდა იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც შეძლებენ განასხვავონ პატრიოტიზმი და ლალატი ერთმანეთისგან. თავისუფლება, გარდა არჩევის თავისუფლებისა, მოიცავს ღირსებას, სიყვარულს და უნარს იბრძოლოს ამ თავისუფლებისთვის და ამიტომ კარგად უნდა ვიცნობდეთ მტერსაც. დღევანდელ მსოფლიოში (განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში) ბევრია, ვინც თავისუფლების იდეის წინააღმდეგ იბრძვის (მაგალითად რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ), თავისუფლება არჩევანი არ არის, ის მონაპოვარია და დაცვა სჭირდება, და საუკეთესო დაცვა იდეოლოგიაა.

თიკო ასათიანი, 12 თებერვალი  
www.liberali.ge

რატომღაც მგონია, რომ სკოლებში პატრიოტული ალზრდის შემოღების საკითხი გადასადებია, არა იმიტომ, რომ პატრიოტიზმი არ გვჭირდება, არამედ იმის გამო, რომ ამ რეფორმების ავტორებმა ჯერ თვითონაც არ იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ. ხშირად ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეების გამოვლენებიდან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ახლა ცდილობენ, დაგვიანებით, მოგვამზადონ რუსეთთან ომისთვის. გამუდმებით იმის ჩიჩინი, რომ ახალი ომია მოსალოდნელი, და რუსეთი დღე-დღეზე დაგვიწყებს ომს, ჩემი აზრით, უბრალოდ არასწორია. სკოლაში სამხედრო სწავლების საკითხებიდან კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს პირველადი სამედიცინო დახმარების განევა ასწავლონ და არა ის, თუ რა ტიპის სამხედრო თვითმფრინავები არის ქართული არმიის შეიარაღებაში. აზრი არ აქვს.

ქობულა, 15 თებერვალი  
www.liberali.ge

### ქართველი ოლიგარქის „წილა“ ლიბერალი N17



სტატია ძალიან კარგია და მივესალმები, რომ ეს საკითხი წამოიწია. თბილისის მთავარი პრობლემა (მთავრობიდან მთავრობამდე) მდგომარეობს შემდეგში – მსხვილი ბიზნეს ინტერესების სრული დომინირება ქალაქის განვითარების პროცესზე, რაც თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ხელდასხმით მიმდინარეობს. თუ გვინდა, რომ გამოსავალი მოვძებნოთ – ივანიშვილის პიროვნების მიმართ ზედმეტი ფოკუსი ამაში ვერ დაგვეხმარება. ასევე, აზრი არა აქვს მასში „სინდისის გაღვიძების“ მცდელობას. ის კერძო პირია – მისწრაფებიც არსებობენ და მასზე უარესებიც... ივანიშვილი რომ ისე მოქმედებს, როგორც მას მოესურვება, არის შედეგი, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა თბილისის მერიას ენიჭება. ამიტომაც არის აუცილებელი, უფრო უკეთესად გამოიკვეთოს პრობლემის სათავე – ჩვენ წინაშე ანგარიშვალდებული არის მხოლოდ თბილისის მერია და, კერძოდ, გიგი უგულავა, რომელიც უკვე 5 წელია, მართავს ქალაქს. და ამ 5 წელიწადში, რეგულაციების მხრივ, არათუ უკეთესობისკენ შეიცვალა რაიმე, არამედ პირიქით, მსხვილი ბიზნეს ინტერესების გავლენა კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა. ქალაქის განვითარებაც ამ ტანდემის – ბიზნესის და მერიის ურთიერთობას ექვემდებარება, და არა ქალაქის ისტორიის და ლანდშაფტის თავისებურებებს.

ანა, 9 თებერვალი  
www.liberali.ge

გამოგვიხმაურეთ  
www.liberali.ge

# ბიზნესი

აღმართობა ადამიანთა სტრატეგია



თუ ისი და მოქმედებ – მიაცნე!

გამონერისთვის დაგვიკავშირდით:  
ტელეფონი: (995 32) 22 37 68  
ელ-ფოსტა: [subscribe@bs-magazine.com](mailto:subscribe@bs-magazine.com)



## რუსეთ-აფხაზეთის ნახევარსაუკუნოვანი შეთანხმება

მოსკოვში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ხელახლა არჩეული ხელმძღვანელის სერგეი ბალაფშის ვიზიტი რუსეთთან გაფორმებული 49-წლიანი შეთანხმებით დაგვირგვინდა. დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთში რუსეთის საკმაოდ მასშტაბური სამხედრო ბაზა განთავსდება. ამ საკითხის გარდა, კრემლში ბალაფშისა და მედვედევის შეხვედრების მთავარი თემები იყო პირდაპირი საჰაერო და საზღვაო მიმოსვლის აღდგენა და აფხაზეთის რკინიგზის რუსეთის რკინიგზის მმართველობაში გადაცემა.

მართალია, მედვედევს მიაჩნია, რომ ახლად გაფორმებული შეთანხმება სრულად შეესაბამება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს, მაგრამ ამ საკითხის შესახებ ნატო-ში განსხვავებული მოსაზრება აქვთ. ნატო-ს წარმომადგენელი კარმენ რომერო აცხადებს: „რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რეგიონებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს ჩვენ იურიდიული ძალის მქონედ არ განვიხილავთ“. აღიანსი რუსეთის მოუწოდებს, ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული 2008 წლის აგვისტოს ხელშეკრულება შეასრულოს, გაიყვანოს თავისი არმია ომამდე არსებულ პოზიციებზე და შეუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის უკვე გაფორმებული ერთ-ერთი შეთანხმების თანახმად, ამჟამად გულდაუთამი 1700 რუსი სამხედრო იმყოფება. ეს შეთანხმება 2009 წლის სექტემბერში გაფორმდა და რუსეთს უფლებას აძლევს, აფხაზეთსა თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზები და ინფრასტრუქტურა ააშენოს და გამოიყენოს. რუსეთის ვიცე-პრემიერის სერგეი ივანოვის თქმით, გასულ წელს აფხაზეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის 25 სხვადასხვა სახის შეთანხმებას მოენერა ხელი.

ბალაფში ამბობს, რომ 20-ზე მეტი ხელშეკრულება კიდევ მზადდება.

რუსეთი და აფხაზეთი ერთმანეთს „კეთილ მეგობრობასა“ და კარგ მოკავშირეობას ჰპირდებიან. ამავდროულად, ბალაფში ბელარუსისგანაც მოელის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ ამაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმარება.

„იტარ-ტასის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ბალაფშია ქართულ და რუსულ ეკლესიებთან ურთიერთობებზეც ისაუბრა. მისი თქმით, პრობლემები, რომლებიც საქართველოსა და აფხაზეთის ეკლესიებს შორის არსებობს, დიდი ხნის წინ დაიწყო. „ქართველი მღვდელმსახურების გამონათქვამების შემდეგ ამ ეკლესიასთან და ასეთ ადამიანებთან საერთო აღარაფერი გვექნება“, – აცხადებს ხელახლა არჩეული დე ფაქტო ლიდერი; პარალელურად რუსეთის პატრიარქთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე საუბრობს და ამბობს, რომ რუსეთის საპატრიარქო ახალი ათონის კომპლექსის მონესრიგებაში ეხმარება.

მოსკოვში ყოფნისას ბალაფშია კიდევ ერთ ინიციატივაზე ილაპარაკა – აფხაზეთში სახლების ყიდვას ახლა უკვე რუსეთის მოქალაქეებიც შეძლებენ. დე ფაქტო რესპუბლიკის ლიდერს არ ეშინია, რომ რუსები აფხაზეთში ყველაფერს იყიდონ და მიესალმება საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში რუსულ ინვესტიციებს.

კრემლში ბალაფშითან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე მედვედევმა განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი ისევ აღადგენს საქართველოსთან ნორმალურ ურთიერთობას, თუმცა დასძინა, რომ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტთან არც ერთ საკითხზე არ აპირებს საუბარს. „რუსეთის ფედერაციისთვის სააკაშვილი პერსონა ნონ გრატია“, – განაცხადა მედვედევმა.

## პარლამენტი ჩრდილო კავკასიაში მიმართავს

„ღრმად პატივცემული კოლეგებო! კავკასიის ისტორიაში ამ რთულ დროს, გლობალიზაციის იდეების წამოჭრის პერიოდში, როდესაც ევრო-აზიურ სივრცეში ახალი რეალიები განისაზღვრება, ჩვენ, კავკასიის ქვეყნების პარლამენტარებს, ჩვენი ხალხების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება. საქართველოს პარლამენტში შექმნილია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფი, რომელიც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას მოემსახურება“, – ასე იწყება „მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის“ წერილი, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტები ქართველი კოლეგებისგან მიიღებენ.

საქართველოს პარლამენტის ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფი დაახლოებით 10 დღის წინ შეიქმნა და მისი წევრები საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები არიან.

მიმართვაში ქართველი პარლამენტარები კოლეგებს „ისტორიული, ძმური კავშირების“ გამყარებისკენ მოუწოდებენ. წერილში ასევე ნათქვამია, რომ მიუხედავად რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ვითარებისა, ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხები ვალდებული არიან, ისტორიული და მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნონ, რომელიც კავკასიაში სტაბილურობის გარანტი უნდა გახდეს.


## სოჭის ოლიმპიადის გამო რეგიონის ეკონომიკაზე საფრთხეები

ბუნების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები (WWF, Greenpeace და ა.შ.) „ოლიმპისტროის“ (რუსული სახელმწიფო კორპორაცია, რომელიც ოლიმპიადისთვის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს) ეკოლოგიური ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს. WWF-ის რუსულმა ბიურომ ყურადღების მისაქცევად ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის დანაშაულის მომენტი გამოიყენა და კრიტიკული ანგარიში გამოაქვეყნა.

„მშენებლები ყველა ჩვენ მითითებას, მოსაზრებასა და რეკომენდაციას უგულვებელყოფენ. ოლიმპიადისთვის სამზადისი არანაირ კონტროლს აღარ ექვემდებარება, უდიდეს ზარალს აყენებს გარემოს და, როგორც ჩანს, ეს პროცესი გაგრძელდება“, – აცხადებს ორგანიზაციის რუსული WWF-ის დირექტორი იგორ ჩესტინი და სამომავლოდ საბჭოსთან თანამშრომლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ანგარიშიში მრავალი მაგალითია მოყვანილი, თუ როგორ ნადგურდება რეგიონის ეკოსისტემა, რისი მიზეზიც ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებებია; საუბარია იმ პრობლემებზეც, რომლებიც გარემოს დამცველებს მონიტორინგის განხორციელებისას ექმნებათ.

WWF-ის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც ეხმიანება და კიდევ ერთხელ მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეჩერდეს რუსეთის უკანონო ქმედებები, რასაც შავი ზღვის და კავკასიის რეგიონები ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიჰყავს.



რისხვეპი

**300 145** -ს მიაღწია თებერვალში ნეგატიური სესხების რაოდენობამ, „კრედიტ ინფოს“ მონაცემების თანახმად.

**47,301** მილიონი ლარი დაიხარჯა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2009 წელს.

**22**-ე ადგილზე მოხვდა ბიძინა ივანიშვილი (4,9 მილიარდი დოლარით) რუსეთის მილიარდერთა 2010 წლის რეიტინგში.

**240** მილიარდი რუსული რუბლია გათვალისწინებული სოჭის ოლიმპიადისთვის მშენებარე ადლერი-კრასნაია პოლიანას სარკინიგზო-საავტომობილო მაგისტრალისთვის.

## სიტყვები



„ბედნიერი და ამაყი ვარ, რადგან როგორც სახელმწიფომ და ერმა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ზრდასრულები ვართ, ისეთი ერი ვართ, რომელიც კანონს პატივს სცემს, რომელსაც შეუძლია დღევანდელ რეალობაში კანონიერად და დემოკრატიულად ჩაატაროს არჩევნები“.

**ვიქტორ იუშჩენკო**  
16 თებერვალი, კიევი

„მედიას კვლავ აკლია ობიექტურობა და პროფესიონალიზმი... მიუხედავად ამისა, ჩემი მთავრობა მედიის თავისუფლების ერთგულია და ამის დასტურია ის, რომ საქართველოში ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი რამდენიმე არხი არსებობს და სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია გააჩნიათ. [ისინი არიან] ძალიან, ძალიან მტრული არხები“.

**მიხეილ სააკაშვილი**  
ლონდონი, 18 თებერვალი

„ჩვენ არ წავალთ ამ ვარიანტზე [ქართველი დევნილების აფხაზეთში დაბრუნება], რათა ხვალ ისევ ომი არ დაიწყოს. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, როცა საკუთარ ქვეყანაში 17% ვიყავით, რის გამოც, ჩვენი განადგურება უნდოდათ“.

**სერგეი ბალაფში**  
16 თებერვალი, მოსკოვი

„პრეზიდენტის რანგში თუ რაიმე ისეთს ჩაიდენ, რაზეც პასუხი უნდა აგო, პასუხისმგებლობა ადრე თუ გვიან დადგება. უპირველეს ყოვლისა, ბატონმა სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს თავისი ხალხის წინაშე, რომელიც ომში ჩაითრია, მსხვერპლისთვის განირა და, საერთო ჯამში, ამ ყველაფერმა მისი ქვეყნის ჩამოშლა გამოიწვია“.

**დიმიტრი მედევევი**  
11 თებერვალი, ტომსკი

# გაერთიანების

## მეორე მცდელობა

არჩევნებამდე 3 თვით ადრე ოპოზიცია ისევ ერთიანი კანდიდატის ძებნას იწყებს.

### მაია ნიკლაური

„ალიანსი საქართველოსთვის“ ოპოზიციის გაერთიანებას ცდილობს. ალასანიას განცხადებით, ეს ერთადერთი გზა ხელისუფლების დასამარცხებლად. ალიანსის წევრები მზად არიან, ერთიანობის სანაცვლოდ, მოლაპარაკებები დაიწყონ „ყველა რეალურ ოპოზიციურ ძალასთან“.

მთავარი მიზანია თბილისის მერობის ერთიანი კანდიდატზე შეთანხმება. ალიანსში არ გამოირიცხავენ, რომ შეთანხმებისთვის საკუთარი კანდიდატიც დათმონ.

„არასწორი იქნება, თუ მოვითხოვთ, რომ ერთიანი კანდიდატი მაინცდამაინც ირაკლი ალასანია იყოს. თუ ვინმე უკეთეს კანდიდატს შემოგვთავაზებს, მზად ვართ, დავეთანხმოთ“, – ამბობს დავით გამყრელიძე.

2009 წლის სექტემბერში ალიანსის წევრებმა უპირობო კანდიდატებად დაასახელეს ირაკლი ალასანია მერად, ხოლო სოზარ სუბარი – საკრებულოს თავმჯდომარედ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, ოპოზიციური ერთიანობა მაშინ არ შედგა და ყველამ საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა.

ბევრი ოპოზიციური კანდიდატის არსებობით სახელისუფლებო კანდიდატის მანსები იზრდება, თუმც არც გაერთიანება აძლევს ოპოზიციას გამარჯვების გარანტიას. „ალასანიას რეიტინგით მხოლოდ გიგი უგულავა უსწრებს. ალასანიას შეუძლია ე.წ. გარდამავალი ხმები დამოუკიდებლად მიიღოს და გაიმარჯვოს. ოპოზიციური გაერთიანებით კი, შესაძლოა, საკუთარი ამომრჩეველიც დაკარგოს, როგორც ეს გაზაფხულის აქციებზე მოხდა“, – ამბობს სოციოლოგი გოჩა ცქიტიშვილი.

მშრომლებს ხელისუფლებასთან დაახლოებულ საპარლამენტო ოპოზიციასთანაც. იმის გამო, რომ კონსერვატორები და ხალხის პარტია ზურაბ ნოლაიდელთან ერთად პრაიმერის ჩასატარებლად ემზადებიან, მათთან შეთანხმებაც არარეალურია. მიზეზი ალიანსის წინაპირობაა. „ჩვენ მზად ვართ, ველაპარაკოთ და შევექმნათ ერთობა ყველასთან, გარდა ზურაბ ნოლაიდელისა. ამის მიზეზი ნოლაიდელის კრიმინალური წარსული და ქართულ პოლიტიკაში მისი გაუგებარი ფუნქციაა“, – წერია ალიანსის განცხადებაში.

თავად კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური მოლაპარაკებებისთვის მზად არიან, თუმცა ამავე დროს აცხადებენ, რომ ყოველგვარი წინაპირობები შეთანხმების პროცესს ჩაშლის. „ულტიმატუმებით არ უნდა ვილაპარაკოთ. თუ ერთიანი კანდიდატი უნდათ, შემოგვიერთდნენ. ჩვენ პრაიმერში მონაწილეობას ნოლაიდელთან ერთად მივიღებთ“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში ზვიად ძიძიგური.

ამ პირობებში ირაკლი ალასანიას ერთადერთი რეალური კონკურენტი და პარტნიორიც ლევან გაჩეჩილაძეა. „დაიცავი საქართველოს“ ლიდერთან კონსულტაციებს ალიანსი, დიდი ხანია, აწარმოებს და, შესაძლოა, საკუთარი კანდიდატურა მის სასარგებლოდაც მოხსნას, თუკი მას არჩევნებში მონაწილეობაზე დაითანხმებს.

„მე კვლავ ვრჩები იმ აზრზე, რომ გამარჯვებისთვის ოპოზიციამ ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ძალებით უნდა იბრძოლოს. რაც შეეხება ჩემ სამომავლო გეგმებს, ჯერჯერობით ჩამოყალიბებულნი არ ვარ“, – აცხადებს ლევან გაჩეჩილაძე არჩევნებამდე სამი თვით ადრე.

ახლა უკვე იმის დროა, რომ კანდიდატები ამომრჩეველებს საარჩევნო პროგრამებს აცნობდნენ, ოპოზიცია კი დროს ისევ კარგავს. პოლიტიკოსები გაერთიანების მეორე რაუნდს ისე იწყებენ, რომ არც აქვთ ზუსტად წარმოდგენილი, თუ სად შეიძლება მოხდეს მათი ინტერესების და მიზნების თანხვედრა.



## ამერიკული ერთი

ამერიკელი ხალხის სახელით, ომგადახდილი საქართველოსთვის გადმორიცხულმა მილიარდმა ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ყველაზე ცუდ შედეგებს დროებით აარიდა.

### წინო რობაქიძე

ბოლო თოთხმეტ თვეში საქართველომ სტრატეგიული პარტნიორისგან ერთი მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. აქედან 250 მილიონი პირდაპირ საქართველოს ბიუჯეტში მოხვდა. ეს თანხა მთავრობამ საპენსიო დავალიანებების გასასტუმრებლად და სოციალურად დაუცველი პირების ჯანდაცვაზე დახარჯა. ასევე დახმარება მიიღო ყველა სამინისტრომ, გარდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა.

250-მილიონიანი პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების ხარჯვის გასაკონტროლებლად ამერიკის შეერთებული შტატების მხარემ ფინანსური მონიტორინგის საერთაშორისო სააგენტო



## მილიარდი

დაიქირავა. მონიტორინგი უკვე დასრულებულია და მარტში შედეგები საჯარო გახდება. „ეს თანხა სწორად დაიხარჯა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, პროცესი კანონიერი და გამჭვირვალე იყოს“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე, კენტ დ. ლოგსდონი.

საქართველოს ბიუჯეტში შესული 250 მილიონი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პირველი ნაწილი იყო, რომელიც 2008 წლის ნოემბერშივე ჩაირიცხა. აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, რომელიც საქართვე-

ლოს სოლიდურ ფინანსურ დახმარებას შეჰპირდა. ამ დაპირების პოლიტიკური ეფექტი ბრიუსელში საქართველოს დონორთა კონფერენციაზეც გამოჩნდა – დონორებმა საქართველოს, ჯამში, 4,5 მილიარდამდე დოლარის დახმარება აღუთქვეს. პოლიტიკურთან ერთად აშკარა გახდა ამერიკული მილიარდის ეკონომიკური მნიშვნელობაც. ექსპერტების შეფასებით, ქართულ ეკონომიკაში ამ რაოდენობის უცხოური ვალუტის შემოსვლამ მნიშვნელოვნად განაპირობა ლარის კურსის სტაბილურობა.

დახმარების მეორე ნაწილი, 53.3 მილიონი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებმა 2009 წლის მაისში გადმოირიცხა. ამ თანხიდან 20 მილიონი კარგი მმართველობის, სამოქალაქო ჩართულობის, არჩევნებისა და მედიის პროგრამებს მოხმარდა. საბოლოოდ, მთლიანი ერთი მილიარდიდან სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობისათვის, პოლიტიკური პარტიებისათვის, მედიისათვის, ხელისუფლების უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის სულ 48 600 000 აშშ დოლარი, ანუ მთლიანი დახმარების 5% გამოიყო. აშშ-ს საელჩოს განმარტებით, ეს თანხა ყოველწლიურ 10 მილიონთან ერთად, რომელსაც საქართველო ომამდეც და ომის შემდეგაც სისტემატურად იღებდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის, ძალიან სოლიდური თანხაა. „საკმაოდ რთული აღმოჩნდა ქართულ არასამთავრობო სექტორში ასეთი დიდი რაოდენობით ფინანსური რესურსის სწრაფი ათვისება. ამიტომაც ამერიკული ერთი მილიარდის თითქმის ნახევარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად დაიხარჯა“, – აცხადებს აშშ-ს ელჩის მოადგილე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში იგულისხმება ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორ-

ცა ელექტრო და გაზის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მთავარი გზების მშენებლობა. თუმცა 469 890 000 ლარიდან ნაწილი, ათასობით ქართველის მომზადებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც ჩაიდო.

„სადავოა ამ ფინანსების გადანაწილების პრიორიტეტები. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში, გარდა მშენებლობისა და ვაჭრობისა, ეკონომიკის არც ერთ სექტორში ზრდა არ შეინიშნებოდა. უცვლელია ქართული ექსპორტის სტრუქტურაც. უკვე 2008 წლის დასაწყისისთვის თვალნათელი იყო ეკონომიკური კრიზისის ნიშნები, რადგან მშენებლობების პოტენციალი შემცირდა და ინვესტიციებმა ამ სფეროში იკლო. ამიტომ სოლიდური თანხების კიდევ ერთხელ დაბანდება იმ მიმართულებაში, რომელმაც საკუთარი თავი ამოწურა, არაეფექტურია“, – აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი თენგიზ შერგელაშვილი და განმარტავს, რომ კაპიტალის არასწორმა დაბანდებამ გამოიწვია ის, რომ საქართველოში საინვესტიციო ბუმის დროს ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკით, ბოლო შვიდი წლის მანძილზე 5%-ით გაიზარდა.

პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებსაც. მათი აზრით, თავისუფალი მედიისა და, ზოგადად, დემოკრატიული პროცესების სტიმულირებისათვის მეტი ფულის დახარჯვა უფრო სერიოზული ეფექტის მომცემი იქნებოდა, ვიდრე ახალი გზები და მაგისტრალები. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების მისია საქართველოში განმარტავს, რომ მილიარდი დოლარის გადანაწილება სპონტანურად არ მომხდარა

„თქვენს ქვეყანაში ჩამოვიდა პროექტის განხორციელებაში მონაწილე სამთავრობო სააგენტოების რამდენიმე დელეგაცია. სპეციალისტებმა ადგილზე შეისწავლეს საქართველოს მთავარი საჭიროებები და პრობლემები, ასევე მიიღეს ინფორმაცია როგორც პოლიტიკური პარტიებისგან, ისე არასამთავრობო სექტორისგან და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრეს დახმარების განაწილების ძირითადი მიმართულებები“, – აცხადებს საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე კენტ დ. ლოგსდონი.

### ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ქართულ ხალხს 1 მილიარდი

პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება პენსიების, კომპენსაციების და სამინისტროებში თანამშრომელთა ხელფასების გასაცემად	250 000 000 \$	25%
ჰუმანიტარული მიზნები, ყველაზე დაუცველი ჯგუფების ჯანდაცვა	186 933 000 \$	18,7%
სესხები კერძო სექტორისთვის, იპოთეკური დაკრედიტების ხელშეწყობა და მშენებლობები	176 000 000 \$	17,6%
ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის სხვა პროექტები	293 890 000 \$	29%
სამართლიანი და დემოკრატიული მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება	48 600 000 \$	4,9%
განაღმითი სამუშაოები, პოლიციის, სანაპირო დაცვისა და სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერება, საგანგებო მდგომარეობებისათვის მზადყოფნა და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა	48 077 000 \$	4,8%

„ვარდების რევოლუციამდე“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი და დღეს რესპუბლიკური პარტიის წევრი, თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საზოგადოების პასიურობას ორი მთავარი მიზეზი აქვს – ერთი ის, რომ არ არსებობს ადეკვატური რესურსები ხელისუფლების ფინანსური ხარჯების სრულფასოვანი მონიტორინგისათვის და, მეორე მხრივ, დღეს ინფორმაცია უფრო დახურულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა ინფორმაციის თავისუფლების აქტის მიღების შემდეგ“, – ამბობს თინათინ ხიდაშელი. მისი აზრით, ეს ფაქტორები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათ, ვინც საქართველოს ფინანსურად ეხმარებიან.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარების მონიტორინგს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ 2009 წლის მარტიდან ახორციელებს. პროექტს ასრულებს დამოუკიდებელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი კოალიცია – „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“. როგორც პროექტის კოორდინატორმა ირინა ლაშხმა განაცხადა, საერთაშორისო დახმარებების სწორად გახარჯვის საქმეში ასი მცდელობიდან ერთმაც რომ გამოიღოს რეალური შედეგი, ამ საქმის კეთებას აზრი აქვს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ამერიკული 1 მილიარდი იმსახურებს, რომელიც, განსხვავებით ევროპული დახმარებისგან, საქართველომ ყველანაირი პოლიტიკური წინაპირობის გარეშე მიიღო.

კოალიციის წევრის, ეკონომიკის ექსპერტის, ლადო პაპავას აზრით, რომ არა აგვისტოს ომი, საქართველოს მთავრობას გლობალური კრიზისის პირობებში არავინ მისცემდა ამ ფულს და მძიმე ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი იყო. „ამერიკის შეერთებული შტატების ერთმილიარდიან დახმარებას სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი 750 მილიონი მოჰყვა და ეს თანხა არ შედის იმ 4,5 მილიარდში, რაც საქართველოს ბრიუსელის დონორთა ეკონფერენციაზე ალუთქევს. ქართული ეკონომიკა გადაარჩა არა იმიტომ, რომ ჭკვიანები ვართ, არამედ იმიტომ, რომ დაგვეხმარნენ. ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო მილიარდი, რომელიც, რეალურად, ჩვენი ქვეყნისთვის მილიარდზე ბევრად ძვირი ღირდა“.



ფოტო: ლადო პაპავა

## ჩაკეტილი წრა

ფსიქიატრიული საავადმყოფოების დაფინანსება გაიზარდა, იქ არსებული პირობები კი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

### ანიტა თვაური


„ამ ადამიანებს წლების განმავლობაში ღირსების შემლახავ პირობებში უწევთ ყოფნა“, – ასე შეაჯამა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა. დაფლეთილი ლეიბები, ჟანგიანი საშხაპეები და ბინძური საპირფარეოები ფსიქიატრიული დაწესებულებების პრობლემად რჩება. უცვლელია ფსიქიატრიული მკურნალობის მეთოდიც – რეაბილიტაციის ნაცვლად, პაციენტის იზოლირება.

ერთადერთი სიახლე ისაა, რომ 2010 წლის ივლისიდან ფსიქიკური აშლილობის შედარებით მსუბუქი შემთხვევებისას პაციენტებს საავადმყოფოში აღარ დაანვენენ. ფსიქიატრები მათ სახლში უმკურნალებენ.

სახალხო დამცველის მრჩეველი

არჩილ თალაკვაძე, მეოთხე წელია, რაც დეტალურად სწავლობს ფსიქიკური მკურნალობის არაეფექტურობის მთავარ მიზეზებს. მისი აზრით, ამ სფეროს პრობლემა სწორედ ისაა, რომ სახელმწიფო აქამდე პაციენტებს მხოლოდ საბჭოთა ტიპის სტაციონარულ მკურნალობას სთავაზობდა. ამ სისტემაში არ არსებობდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი – პაციენტის რეაბილიტაციის მკურნალობის დასრულების შემდეგ.

„ადამიანი ხვდება იმავე გარემოში, რომელშიც ფსიქიკური აშლილობა დაემართა, და სწრაფადვე ბრუნდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. რამდენჯერაც უნდა გაენეროს, ის უკან დაბრუნებისთვისაა განწირული. უმრავლესობა ამ ჩაკეტილ წრეში მოძრაობს“, – ამბობს არჩილ თალაკვაძე.



მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული კლინიკა, თბილისი

რეაბილიტაცია შეამცირებდა იმ პაციენტების რაოდენობას, რომლებიც მხოლოდ იმიტომ რჩებიან სტაციონარში, რომ წასასვლელი არსად აქვთ. მათ დღეს იმავე გარემოში უწევთ ყოფნა და იმავე მეთოდებით მკურნალობენ, როგორც სხვა, უფრო მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს. არ ხდება პაციენტების დიფერენცირება; შესაბამისად, არ არსებობს თავშესაფრის ტიპის დაწესებულებები. ამგვარი თავშესაფრის შექმნის გეგმაც არ არსებობს.

ჩაკეტილი წრის გარღვევას შეეცდება ჯანდაცვის სამინისტრო თემზე დაფუძნებული მკურნალობის მეთოდის დანერგვით. თუმცა, ამ პროგრამას ნაკლოვანებებიც აქვს. ის მხოლოდ თბილისის მოსახლეობას შეეხება და ნაკლებ საგარაუდოა, რომ მწირი ბიუჯეტით (ორასი ათასი ლარი ათ მილიონიანი ბიუჯეტიდან) ყველა პაციენტის დახმარება მოხერხდეს.

2006 წელს ფსიქიატრიული მკურნალობისთვის ბიუჯეტი დაახლოებით 5 მილიონი იყო, გასულ წელს ეს რიცხვი დაახლოებით 9 მილიონ-ნახევრამდე გაიზარდა. თუ თავდაპირველად მხოლოდ ამბულატორიული

და სტაციონარული მომსახურება ფინანსდებოდა, გასული სამი წლის მანძილზე 70 ათასი ლარით დაფინანსდა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. თანხის სიმწირემ საერთო სურათი ვერ შეცვალა. არჩილ თალაკვაძე ფიქრობს, რომ ეს ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. „თუ სამინისტრო ძირეულად არ შეიცვლის ხედვას, ბიუჯეტის შემდგომი ზრდა ისევ იქნება ინვესტიციების ჩადება არაფერში“, – ამბობს არჩილ თალაკვაძე.

ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, სოფიო ლებანიძე ამბობს, რომ ჯანდაცვის მომავალი სტრატეგია დამუშავების ეტაპზეა.

ჯანდაცვის სამინისტრო სახალხო დამცველის შენიშვნებს ითვალისწინებს, მაგრამ რადიკალურ ცვლილებებს არ გეგმავს. ჯანდაცვის მინისტრმა სანდრო კვიციანიშვილმა სახალხო დამცველთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მთავარ პრიორიტეტად კვლავ ინფრასტრუქტურის განვითარება რჩება, სოციალური რეაბილიტაციის პროექტის სათანადოდ ამოქმედება კი შორეული პერსპექტივაა.

კომენტარი

გიორგი ტულუში

სახალხო დამცველი, ფსიქიატრიული დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შესახებ.

„ბოლო წლებში დაახლოებით სამოთხვერ გაიზარდა ფსიქიატრიული საავადმყოფოების დაფინანსება, თუმცა, ჩვენი მონიტორინგის მიხედვით, ძალიან ბევრი მიმართულებით გაუმჯობესება არ ჩანს. სურათი საკმაოდ შემზარავია – საშუალო და დაბალი დონის პერსონალის თუ მატერიალური პირობების თვალსაზრისით.

ჯანდაცვის მინისტრთან შეხვედრაზე შეეთანხმდით, რომ ამ ყველაფერი შესაცვლელია. ფაქტობრივად, არც ერთი კომპონენტი არ აკმაყოფილებს რაიმე სტანდარტს.

ეს ადამიანები ყველამ მივიწყა. ჩვენთან ჩვიან პატიმრების დები, ძმები, ინტერესთა დამცველები, ადვოკატები, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვინმეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიმე პირობების გამო მოემართოს. ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან საჩივარი ფაქტობრივად არ გვაქვს.

იმ ოჯახების ნაწილი, რომლებსაც ოჯახის წევრი ფსიქიატრიული კლინიკაში ჰყავთ, ან მალავენ ამას, ან ამ თემაზე არ საუბრობენ. სამწუხაროა, რომ ამ თემაზე მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და სულ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. ფსიქიატრიული საავადმყოფოები გაცილებით უფრო ღიაა, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებები და ეს ამ სისტემაში პრობლემების მოსაგვარებლად უნდა გამოვიყენოთ. ჯანდაცვის სამინისტრომ ჩვენი შენიშვნები მიიღო და შეგვიპირდა, რომ ახალი გეგმის შემუშავებისას მათ გაითვალისწინებს. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ 2010 წელს რეკომენდაციები სრულად შესრულდება, მაგრამ ჩვენი მიზანია, ეს პროცესი დაიძრას. საგარაუდოდ, წლის ბოლოს მეორე მონიტორინგს ჩავატარებთ.“

2010 წლის იანვარი





მომხრე

გიორგი ლიპარტია

თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი



ახალი მაგისტრალის მშენებლობა, გმირთა მოედანი, 2010



ახალი მაგისტრალის მშენებლობა, გმირთა მოედანი, 2010

ამხელა მშენებლობა ქალაქის მასშტაბით წინა საუკუნეშიც კი არ ყოფილა. ამ პროექტის განხორციელებით, მართალია, დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ საკუთარ თავზე, მაგრამ ყველა პირობას ბოლომდე შევასრულეთ და მშენებლობასაც მოკლე ვადებში დავასრულეთ.

მაგისტრალის აუცილებლობა დავინახეთ ახლად შეკეთებულ გზებზე ავტოტრანსპორტის სიჩქარეების ზრდისა და ბოლო წლებში მსუბუქი ავტომობილების რაოდენობის მატების გამო. საჭირო გახდა საცობების შემცირება და ქუჩების განტვირთვა. ამ მიზნით, 2009 წელს ქალაქში კვანძების გახსნის პროგრამა დავგეგმეთ. ეს მაგისტრალიც ამ დიდი პროექტის მხოლოდ ნაწილია. პარალელურად ახალი გზების მშენებლობით თბილისის სხვა უბნებშიც ვახდენთ მოძრაობის განტვირთვას. მაგალითად: ვაზისუბნისა და ლოტკინის დაკავშირება ახალი გზით, ლილოს ცენტრალურ სავაჭრო ცენტრთან გვირაბის გაყვანა პანდუსებით, რითაც მოისპო მუდმივი საცობები, დაწყებულია ვაშლიჯვრის დასახლებისა და ნუცუბიძის პლატოს დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა, რაც ქალაქის შემოსასვლელიდან ძირითადი სატრანსპორტო არტერიის განტვირთვის საშუალებას მოგვცემს, ვგეგმავთ აღმამშენებლის ხეივანის დასაწყისში გვირაბის მშენებლობას და გორგასლის ქუჩიდან შინდისი-ტაბახმელას დამაკავშირებელი გზის მშენებლობას თაბორის მთის გავლით.

მშენებლობის პირობები პროექტის არც ერთ ეტაპზე არ დაგვირღვევია. გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი გზის გაყვანას წინ უძღოდა საერთო კომპლექსური სქემის შესწავლა, რის საფუძველზეც, პროექტი ეტაპობრივად დავგეგმეთ. პროექტირების შესახებ 2009 წლის 8 მაისს გამოცხადებულ ტენდერში გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით გაიმარჯვა შპს „საქგზამეცნიერება“, მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში კი 1 ივლისს შპს „კავკასუს როუდ პროფექტი“ გავიდა.

ვანყოფინით განხილვებსაც. ყოველი

საპროექტო სამუშაო

# სჭირდება თუ არა ქალაქი

კვირის სამშაბათს მერიის სატრანსპორტო კომისია მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად განიხილავს მიმდინარე პროცესებს და შემოთავაზებულ წინადადებებს. მშენებლობის დაწყებისას კი კომისიის გადამწყვეტილების საფუძველზე პროექტში ცვლილებებიც შევიტანეთ.

ბრალდებები, რომ ვანადგურებთ „მზიურის“ და ზოოპარკის ლანდშაფტს, უსაფუძვლოა, რადგან ჩვენ არც ერთ ამ ტერიტორიას არ ვეხებით, მაგისტრალი მხოლოდ მათ შორის გადის. არ ვეხებით არც ვერეს ხეობას. მივყვებით მდინარის ზოლს. ზოგიერთ მონაკვეთში კი მდინარე იხურება და გზა გადადის მდინარის ზემოდან; ანუ კალაპოტში ექცევა, რაც ისედაც აუცილებლად იყო გასაკეთებელი, რადგან, მართალია, ვერე პატარა მდინარეა, მაგრამ გაზაფხულზე ისე დიდდება, რომ იქ მცხოვრებ მოსახლეობას მუდმივად პრობლემებს უქმნის. ამ პროექტის საშუალებით კი ეს პრობლემაც გადაწყდება.

ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ „მზიურის“ პარკი ქალაქის „ფილტვებია“. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქამდე ეს ადგილი ორგანიზმის დაავადებულ ელემენტს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ახლა გაიწმინდა წლების განმავლობაში ნარჩენი ბიტუმის, მაზუთის და ჩამდინარე ფეკალური მასებისგან. ნუ დაგავინყდებით, რომ მდინარე ვერეში, ყველაწილი ნორმების დარღვევით, 250-მდე კანალიზაციის ნერტილი ჩაედინებოდა. ეს პრობლემა

განსაკუთრებით მწვავედ იდგა ყიფშიძის ქუჩის მხარეს, სადაც საშინელი ანტისანიტარია იყო. ახლა ამ ყველაფერს დიდი კოლექტორი მოანესრიგებს, რომელიც ხეობაში დაიდგება, მასში შევა ხეობაში ჩამავალი ფეკალიები და შემდეგ ძირითად კოლექტორს მიუერთდება. ამით ჩვენ გაწმენდთ მდინარესაც, გზის ორივე მხარეს კი, მაგისტრალის გასწვრივ გამწვანებულ ზოლს გავაკეთებთ.

პროექტის მიმდინარეობისას არც ხეები მოგვიჭრია. სადაც დღეს მშენებლობა მიმდინარეობს, წინათ სულ ეკალ-ბარდები იყო, რაც, ცხადია, გავკაფეთ. მოგჭერით 60-მდე ისეთი ხე, რომელიც შეშადაც კი არ გამოდგებოდა. საღი ხეები სპეციალური გადაამრგავი მანქანების მეშვეობით ქალაქის სხვადასხვა ადგილებზე გადავიტანეთ. გამოდის, რომ არც „მზიურს“ ვაზიანებთ და არც ზოოპარკი გადაგვაცქს სხვაგან. რაც მთავარია, არც გმირთა მოედანი კარგავს ფუნქციას, პირიქით – მას, ესტაკადის სახით, კიდევ ერთი დონე ემატება, რომელზე ასვლაც რამდენიმე ადგილიდან იქნება შესაძლებელი.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება. დარწმუნებული ვარ, რომ ვერეს ხეობაში კომუნიკაციების მოწესრიგებისა და დენდრო-პროექტის განხორციელების შემდეგ ეს ადგილი, თავისი ინფრასტრუქტურით, სრულიად უნიკალური იქნება როგორც ტრანსპორტით, ისე ფეხით მოსიარულე მოქალაქეებისთვის. ■



რალის მშენებლობა, მდინარე ვერე, 2010



ახალი მაგისტრალის მშენებლობა, თამარაშვილის გამზირი, 2010

# ქს ახალი მაგისტრალი?



**მონინალდევე  
კოკა ამირეჯიბი**

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი,  
არქიტექტურის მეცნიერებათა  
დოქტორი

მერვე თვეა, მდინარე ვერეს ხეობაში ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს. საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ქალაქის მერია დღემდე არ აქვეყნებს ამ მაგისტრალის პროექტს. ინფორმაციის დამალვის სურვილი ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, თუ რამდენად დასაბუთებულია ამ გზის მშენებლობა, მისი აუცილებლობა, საინჟინრო თუ ეკოლოგიური გამართულობა, და რამდენად ეფექტური იქნება, ზოგადად, 80 მილიონი ლარის დახარჯვა ახალი გზის გასაყვანად?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაც უნდა მოხდეს, ეს სამუშაოები უნდა დასრულდეს გარკვეული ვადისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ამ მშენებლობაზე ქალაქის მოსახლეობა და სპეციალისტები. სიჩქარეში კი კანონიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. იენისიდან დღემდე უხეში კანონდარღვევების რამდენიმე მაგალითი შეიძლება გავისხენოთ:

– ქალაქის გენგეგმაში ეს მაგისტრალი გათვალისწინებული არ არის და არც დღემდეა შეტანილი ამ დოკუმენტში. ანუ, გამოდის, რომ მერია მასშტაბურ მშენებლობას თბილისის ურბანული განვითარების სტრატეგიის გვერდის ავლით ახორციელებს;

– არ არის ჩატარებული და გამოქვეყ-

ნებული წინასაპროექტო კვლევა, რომელიც პროექტის საჭიროებას უნდა ადასტურებდეს და რომლის გარეშე მსხვილი ქალაქგეგმარებითი პროექტი არ უნდა იწყებოდეს;

– არ მოეწყო პროექტის საჯარო განხილვები მაშინ, როცა მშენებლობის დაწყებამდე საჯარო დებატების აუცილებლობას კანონი ითვალისწინებს;

– პროექტს არ ჩაუტარდა გარემოზე გავლენის შეფასების ექსპერტიზა, ამიტომ დღეს მხოლოდ ვარაუდებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რა ღონის ზიანს მიაყენებს მაგისტრალი ხეობის ეკოსისტემას.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება სათანადო იურიდიული ანალიზის შედეგად კიდევ შეიძლება. გარდა ამისა, იმ მნიშვნელოვან მასალიდანაც კი, რომელიც მერიის ვებგვერდზე მოიპოვება, პროექტის უამრავი მეთოდოლოგიური ხარვეზი იკვეთება:

– მსხვილი ავტომაგისტრალი, რომელსაც მერია ზოგადსაქალაქო მნიშვნელობას ანიჭებს, ისე დაიგეგმა, რომ ქალაქის სატრანსპორტო ქსელის ზოგადი ანალიზი არ ჩატარებულა.

– არ გაითვალისწინეს არც ის, რომ დაუშვებელია უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალის მიერთება ქუჩების ადგილობრივ ქსელთან, რადგანაც ამ მიერთების წერტილებში გარდაუვალია ახალი საცობების გაჩენა. გამოდის, რომ ძვირადღირებული მაგისტრალი პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ილუზიას შექმნის.

– წინასწარი დაკვირვებით, ეს მაგისტრალი ვერც ჩქაროსნული იქნება და ვერც უწყვეტ მოძრაობას უზრუნველყო-

ფს, რადგან გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩაზე ესტაკადა მთის ბუნებრივ ქედზე მალღდება, გზის ანევისა და ვარდნის ნიშნულები კი ზოოპარკთან და გმირთა მოედანთან სიმაღლეში 40-50 მეტრს აღწევს და ესტაკადაზე ასვლა-დაშვებას ანელებს. ეს მაშინ, როცა ჩქაროსნულ მაგისტრალებს „ანევის“ თავისი ნორმები აქვთ – ეს ნიშნული 2 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, აქ კი თითქმის 10 პროცენტია.

– ამ მაგისტრალზე გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვაკესა და საბურთალოს რაიონებს შორის ორი-სამი განივი დამაკავშირებელი ქუჩის დამატება (ვთქვათ, ხილიანის ან დოლიძის ქუჩებიდან ვაკისკენ). მსგავსი პროექტი არსებობდა კიდევ და მისი განხორციელებაც ნაკლებ ხარჯიანი და უფრო ეფექტური იქნებოდა.

– ახლა კი საფრთხის წინაშე დგება ხეობის მწვანე საფარი. გრძივი ავტომაგისტრალის შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი, ხმაური და ვიბრაცია დააზიანებს ბუნებას; მდინარე ვერეს რამდენიმე მონაკვეთზე მილებში მოაქცევენ, გაიყვანენ წყალსადენს, სანიაღვრე კანალიზაციას და ელექტროგაყვანილობას – ხეობას რთული საკომუნიკაციო არსებით დატვირთავენ, რითაც ვერეს ბუნებრივი ლანდშაფტი მთლიანად გარდაიქმნება. ხეობა დაემსგავსება ტექნოგენურ, ანთროპოგენურ წარმონაქმნს.

– ამტკიცებენ, რომ მაგისტრალი არ ეხება „მზიურის“ სარეკრეაციო ზონას, არადა, ხეობაში და „მზიურის“ ტერიტორიაზე შეჭრილი ავტომაგისტრალის გარშემო ბუნებრივად განვითარდება სატრანსპორტო ნაგებობები – მალაზიები და სხვა ინფრასტრუქტურა, გაჩნდება საცხოვრებელი სახლებიც, რის გამოც, თბილისში ერთით ნაკლები სარეკრეაციო პარკი დარჩება.

– განვითარებული ქვეყნების ურბანულ პრაქტიკაში, დიდი ხანია, უარი თქვეს ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობაზე. იქ პრობლემის გადაჭრას ტრანსპორტის ნაკადის რეგულირებით ცდილობენ – მაგალითად, ზღუდავენ მოძრაობას ცენტრალურ უბნებში და ავითარებენ ახალი თაობის საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც.

ჩვენთან კი მერიას მსგავსი პრიორიტეტები არ გააჩნია, მსხვილი ობიექტების მშენებლობას კი დღემდე დახურული, არასაჯარო სტილით ახორციელებს. ვერეს მაგისტრალი კანონდარღვევების, ქალაქის მოთხოვნებისა და ეკოსისტემის უფულებელყოფის თვალსაჩინო მაგალითია. **■**

# საქართველოს ერა



რამდენ ხანს იქნება საქართველო მნიშვნელოვანი? შესაძლოა, ის არც ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა, როგორც ეს თბილისიდან ჩანს, მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ხუთმილიონიანი ქვეყნების უმრავლესობა. საინტერესოა, საქართველოს ასეთი მნიშვნელოვნება მისი მუდმივი მდგომარეობაა, თუ დროებითი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნიშნავს თუ არა იმასაც, ვიცოდეთ, როგორ ვიმოქმედოთ: ავჩქარდეთ თუ შევანელოთ მოძრაობა.

მარკ მალენი

საქართველოს მნიშვნელოვან როლს დიდწილად განსაზღვრავს ნავთობისა და გაზის ტრანზიტით. თუ კასპიის ზღვის ნავთობის მარაგები რუსეთსა და ირანს მომავალში ძაფით შეკრავს, ეს საქართველოს გავლით უნდა მოხდეს. თუმცა, ირანში სიტუაცია სწრაფად იცვლება: იგი ანტიდემოკრატიული თეოკრატიიდან კორუმპირებულ სამხედრო დიქტატურად გარდაიქმნება. მის ლიდერებს ეშინიათ ფერადი რევოლუციის, რომლისკენაც ირანის მოსახლეობა მიიღტვის. წარმოუდგენელი სულაც არ არის, რომ მალე ირანის მთავრობა შეიცვალოს და ქვეყანა პროდასავლურ რელსებზე გადავიდეს. ამიტომ, შესაძლოა, უეცრად რუსეთ-ირანის სავაჭრული კავშირმაც დაკარგოს მნიშვნელობა.



საპროტესტო აქცია, თბილისი, 1 სექტემბერი 2008

ფაქტობრივად, დასავლეთი სწრაფად გამოიყენებს ირანისა და კასპიის ზღვის სატრანზიტო შესაძლებლობებს.

მომდევნო მიზეზია ფიქლის გაზი (გაზი, რომელიც უძველესი თიხის ქანებშია მოქცეული). რთულია იმისი გაგება, თუ რატომ არის ევროპისთვის კომფორტული გაზის მიღება ისეთი არასაიმედო წყაროდან, როგორც რუსეთია. თუმცა, იქნებ ევროპის გათვლა ისაა, რომ მომავალში ფიქლის გაზის იმპორტი გაცილებით უფრო სწრაფი და იაფი დაჯდება, ვიდრე გაზსადენების მშენებლობა? ფიქლის გაზის პოტენციური დღეისთვის, ერთი შეხედვით, ბუნდოვანია, თუმცა მისი მნიშვნელობა დღით დღე იზრდება და დასავლეთის თვალში საქართველოს გეოპოლიტიკური როლი მატულობს.

რთულია იმისი განსაზღვრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს ნატო. ის გახლენილია და ვერ გადაუწყვეტია, არის თუ არა რუსეთი მისი მტერი. მსგავსი შეუთანხმებლობები ნატო-ს საქართველოსთვის ნაკლებად გამოსადეგ საერთაშორისო ბერკეტად აქცევს. იგი სხვა არაფერია, თუ არა პიარის არაფორმალური საშუალება.

აი, ევროკავშირი კი სრულიად განსხვავებული ფენო-

მენია. საქართველო ვერ გახდება ევროკავშირის წევრი თურქეთზე ადრე, თურქეთს კი ალბათ ამ თაობის მოღვაწეობის მანძილზე შანსი არ აქვს. თუმცა, ვინ იცის, რა იქნება მომავალი თაობის მოსვლის შემდეგ? იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც დღეს ევროკავშირის სათავეში არიან, ფიქრობენ, რომ თურქეთი, უბრალოდ, მათი კლუბის წევრი არ არის; მათ საქართველოს შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ეს რეალობა, შესაძლოა, ევროკავშირის მმართველების მომდევნო თაობაში შეცვალოს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მთავარი ამოცანა ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს. ეს ისეთი დოზით მაინც უნდა მოხდეს, რომ როდესაც მომდევნო თაობა ევროკავშირში წამყვან პოსტებს დაიკავებს, მათთვის უკვე საქართველოს მიღება პრობლემა აღარ იყოს.


ევროპაში ბოლო სამოცდახუთი წლის განმავლობაში ომი არ ყოფილა, რაც მის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობიანი ხანაა. ევროპულმა სახელმწიფოებმა ეს საერთო შეხედულებების გამოწვევით და განსხვავებების იგნორირებით მოახერხეს, რაც საკმაოდ ხანგრძლივ პროცესად იქცა. თუმცა, ამ სტრატეგიამ იმუშავა! ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შეიძლება არც იყოს ყოველთვის მნიშვნელოვანი, საგანგაშო არაფერია. საქართველოს შეუძლია ხანგრძლივი ევროპული თამაში ითამაშოს. ■

**■ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შეიძლება არ იყოს ყოველთვის მნიშვნელოვანი, საგანგაშო ამაში არაფერია. საქართველოს შეუძლია ხანგრძლივი ევროპული თამაში ითამაშოს.**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

# საქართველოს მიერ ლობირების მსდელობები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



2010 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს ინტერესების დასაცავად ქვეყნის მთავრობამ წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული უმრავლესობის ყოფილი ლიდერის დიკ გეფჰარდტის მიერ დაარსებული ამერიკული ლობისტი კომპანია „გეფჰარდტ გრუპ გავერნმენტ ეფერსი“ (Gephardt Group Government Affairs) დაიქირავა. ამ კომპანიასთან დადებული ერთწლიანი ხელშეკრულების საერთო ღირებულება 436 000 აშშ დოლარია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოიძია დამატებითი ინფორმაცია საქართველოსა და ამერიკულ ლობისტ კომპანიებს შორის დადებული მოქმედი და უკვე დასრულებული

კონტრაქტების შესახებ და შეადგინა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მის ვებგვერდზე არის განთავსებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მონაცემთა ბაზა ეყრდნობა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრს, სადაც, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (Foreign Agents Registration Act, FARA) საფუძველზე, ამერიკული ლობისტი კომპანიები და მათ მიერ სხვადასხვა კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებებია რეგისტრირებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ არაერთხელ დაიქირავა ამერიკელი პროფესიონალები აშშ-ში მისი ინტერესების ლობირებისთვის.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს ლობისტ კომპანიებს შორის 1990-იან წლებში დადებული კონტრაქტების საჯარო ვერსიები ლობირებაში გადახდილი თანხის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს. პირველი ჩანაწერი თანხის შესახებ 1998 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩნდება.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ლობისტურ საქმიანობას, ძირითადად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია „საქართველოს რკინიგზა“ აფინანსებდა. ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, 2002-2004 წლებში კომპანიამ ამ მიმართულებით 785 000 აშშ დოლარი დახარჯა.



ფოტო: ტონას ლეონიძე

■ მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში

„ვარდების რევილუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ ლობირებაზე განეული ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს ამერიკულ ლობისტ კომპანიებთან ჯამში 2 619 000 აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტები აქვს დადებული. ამ თანხის უმეტესი ნაწილი – 1 666 000 აშშ დოლარი – 2008 წლის აგვისტოს მერე დაიხარჯა. გასული წლების განმავლობაში ყველაზე მეტი თანხა მთავრობას „ორიონ სოლუშენსისთვის“ (Orion Solutions) აქვს მიცემული. ამ კომპანიას საქართველოდან მთლიანად 800 000 აშშ დოლარი აქვს მიღებული.

FARA-ს მონაცემების თანახმად, „ორიონ სოლუშენსის“ დამაარსებელი რენდი შონემანი, აშშ-ს ნეოკონსერვა-

მილო. ამ პერიოდში შონემანი განეული მომსახურებისთვის ფულს საქართველოს მთავრობისგანაც იღებდა. ეს თანხა მაშინ 290 000 აშშ დოლარს შეადგენდა. შონემანივე აძლევდა რჩევებს მაკეინს რუსეთ-საქართველოს ომის დროს).

საქართველოს ლობისტური საქმიანობის მონიტორინგი აშშ-ს გარეთ და, კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში უფრო რთულია, რადგან ევროკავშირის კანონმდებლობა ლობისტი კომპანიების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია.

გაზეთ „გარდიანის“ მიხედვით, 2007 წელს საქართველოს კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ბრიუსელში დაფუძნებულ კომპანიასთან – „ასპექტ კონსალტინგი“ (Aspect Consulting). კონტრაქტის თანახმად, ამ კომპანიას საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირ-

ში განვერიანებისთვის უნდა შეეწყოს ხელი, რისთვისაც მას მთავრობა 500 000 ევროს უხდოდა).

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის პროპაგანდისტული ომი დაიწყო. „ასპექტ კონსალტინგი“ ამ პერიოდში საქართველოს ინტერესებს წარმოადგენდა. მისმა დამფუძნებელმა პარტნიორმა ჯეიმს ჰანტმა „პი-არ ვიკთან“ (PR Week) საუბარში თქვა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეეძლოთ PR კომპანიებს რუსეთთან თანამშრომლობა და დამატა – „მე ანგელოზების მხარეზე ვარ“.

2008 წელს საქართველოსა და რუსეთზე მომუშავე PR კომპანიები („ასპექტ კონსალტინგი“ – საქართველო და „ჯი პლუსი“ (G Plus) – რუსეთი), ამ პერიოდში შესრულებული საქმიანობისთვის, ევროკავშირის



ფოტო: თინათინ ლორთქიანი

■ მიხეილ სააკაშვილი და დენიელ კუნინი

ტორულ წრეებში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს სხვა ქვეყნებსაც ლობირებდა. ესენი იყო: ტაივანი, მაკედონია, მონტენეგრო, ლატვია და რუმინეთი.

2007 წლის იანვარში შონემანი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჯონ მაკეინის საპრეზიდენტო კამპანიის უფროსი მრჩეველი გახდა, რისთვისაც მისგან, ანაზღაურების სახით, 2008 წლის 15 მაისამდე დაახლოებით 70 000 აშშ დოლარი

**■ 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ამერიკულ ლობისტ კომპანიებთან ჯამში 2 619 000 აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტები აქვს დადებული.**

ყველაზე ცუდ ლობისტებად დასახელდნენ.

2009 წლის ივლისში ლობისტ კომპანიებთან ხელშეკრულებები გააფორმეს სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმაც. მათ საერთო ლობისტი ჰყავთ – „მარკ სეილორ კომპანია“ (Mark Saylor Company). ორივე ერთნაირ თანხას – თითოეული წლიურად 360 000 აშშ დოლარს იხდის, და მათ მიერ გაფორმებულ კონტრაქტებში კონტრაქტის დასრულების თარიღი არ არის მითითებული. **■**



■ ვახტანგ კომახიძე

# აქე და ერიღე

პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად კომახიძეს, შესაძლოა, სააკაშვილის ბოლო განცხადებაც ეყოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას შვეიცარიის ხელისუფლება რამდენიმე თვეში მიიღებს.

## ბესო კურტანიძე

ჟურნალისტიმა ვახტანგ კომახიძემ შვეიცარიის მთავრობას თავშესაფარი სთხოვა. როგორც თავად ამბობს, მას ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები არაერთხელ დაემუქრნენ. ჟურნალისტიმა განმარტა, რომ ცხინვალის ომთან დაკავშირებით ფილმის დასრულებას უკრძალავდნენ. ვახოს პირველად ღამით, ავტოფარეხთან დახვდნენ, შემდეგ დაურეკეს და ბოლოს შვეიცარიაში გამგზავრებისას გააფრთხილეს, რომ თუ თავი არ ეცოდებოდა, ოჯახს მაინც გაფრთხილებოდა.

კომახიძის ამ ნაბიჯს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. მოქალაქეების ნაწილმა კომახიძეს სოლიდარობა გამოუცხადა და შვეიცარიის საელჩოს წინ აქცია გამართა. ნაწილი ამ ნაბიჯის აუცილებლობის მეტ დასაბუთებას მოითხოვდა, ხოლო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა მედიამ ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოსახატად ჟურნალისტს უამრავი სისულელე დააბრალა. ცილისწამების კამპანიამ ბევრს გაახსენა 1937 წელი, როცა მშრომელთა მასების სახელით რეჟიმისთვის არასასურველ პირებს კომუნისტები სასტიკად უსწორდებოდნენ.

არასასურველი ჟურნალისტების მიმართ თავისი პოზიცია პრეზიდენტმაც

გამოხატა. ლონდონში მან განაცხადა, რომ ორი ტელეკომპანია მის მიმართ „მტრულად, ძალიან მტრულადაა განწყობილი“.

კომახიძის ჟურნალისტური გამოძიებები „კავკასიასა“ და „მესტროზე“ გადიოდა. სხვა არხები ჟურნალისტურ გამოძიებას არ სწყალობენ. პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად კომახიძეს, შესაძლოა, სააკაშვილის ეს განცხადებაც ეყოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას შვეიცარიის ხელისუფლება რამდენიმე თვეში მიიღებს.

ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ სახალხო დამცველს და პროკურატურას უნდობლობას უცხადებდა და მათ სათანადო განცხადებით ამიტომაც არ მიმართა.

ამასთან, აჭარაში ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტთან დაკავშირებული ძიება 5 წელია, გრძელდება, მაგრამ გამოძიებამ ვერაფერი დაადგინა. თუმცა, თავად ჟურნალისტიმა დაასახელა რამდენიმე პოლიციელი, რომლებმაც მას სასტიკად სცემეს.

დამოუკიდებელი მედიისადმი პრეზიდენტის პოზიცია კარგად გამოჩნდა გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტის, თედო ჯორბენაძის შემთხვევაშიც. ჟურნალისტს პოლიციის თანამშრომლებმა

შიშველი მამაკაცების ფოტო უჩვენეს, რომელზეც, მათი ვერსიით, თავად ჯორბენაძე იყო გამოსახული. კომპრომეტირების თავიდან აცილების სანაცვლოდ, მისი აგენტად გადაბირება უნდოდათ. ჟურნალისტიმა პოლიციასთან საიდუმლო თანამშრომლობაზე უარი განაცხადა და ფაქტიც გაახმაურა. გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა ჩაატარა, რომლის შედეგები ჩვენთვის აღარავის უთქვამს, პოლიციელებიც არავის დაუსჯია.

„რატომ უნდა დაესაჯათ პოლიციელები? მათ ჟურნალისტს რალაც ფოტო აჩვენეს და პირის ამოცნობა სთხოვეს“, – ასე შეაფასა მომხდარი ქვეყნის პრეზიდენტმა.

რამდენიმეჯერ სცემეს გორელ ჟურნალისტს საბა წინიკაშვილს. ისიც ასახელებს, ვინ სცემა, რატომ, რამდენჯერ, მაგრამ ხელისუფლება არაფერს აკეთებს საქმის გამოსაძიებლად.

აგვისტოს ომის დროს გორში მყოფმა პრეზიდენტმა თვითმფრინავის ხმა გაიგონა და თავის საშველად გაიქცა. განა ვინმემ ბომბი ესროლა? უბრალოდ ჩათვალა, რომ საფრთხე ემუქრებოდა და გაიქცა. ვინც კომახიძის ნაბიჯს კრიტიკულად აფასებს, იქნებ მხედართმთავრისთვისაც დაესვა ერთი-ორი კითხვა? **■**

პოლიტიკა

# რუსეთი ჩინია

რუსეთთან დიალოგი პოპულიზმია, ისევე როგორც დაპირება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება.

სოფო ბუკია

Georgia



„მე დღიდან ვილოცე ეკლესიაში ჩვენი შეხვედრის კეთილი დასასრულისთვის..... პირდაპირ გეტყვით, მე ჩამოვედი, რომ თქვენი მეგობარი გავხდე... ჩემთან შეიძლება მოლაპარაკება. მე არასოდეს ვუღალატებ საქართველოს ინტერესებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ რუსეთის არც ერთი ინტერესი არ დარჩეს გაუთვალისწინებელი“, – ეს სიტყვები 2004 წლის 11 თებერვალს მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმირ პუტინს უთხრა, როცა მას კრემლში პირველად შეხვდა.

მეორე დღეს გაზეთ „კომერსანტის“ კორესპონდენტი წერდა: „ყველასათვის მოულოდნელად, პუტინმა მას სრულიად გულწრფელად გაუღიმა... მივხვდი, რომ ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთი იპოვა“.

ეს მიხეილ სააკაშვილის პირველი ვიზიტი იყო საქართველოს პრეზიდენტის რანგში. მოსკოვამდე მან „აირზენას“ რეგულარული რეისით, ეკონომ-კლასით იმგზავრა. მაშინ თბილისიდან მოსკოვში დღეში ორი რეისი დაფრინავდა.

მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. „ამ სააკაშვილს ერთი ადგილით დავკიდებ“, – უთხრა პუტინმა საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის 2008 წლის 12 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო საქართველოში ხელისუფლების ჩამოგდება.

დღეს რუსეთი და საქართველო მტრები არიან. ორ ქვეყანას შორის ჩაკეტილია ყველა საჰაერო და სახმელეთო საზღვარი. აგვისტოს ომის შემდეგ განწყვეტილია დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობები. რუსეთის მიერ ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი. თბილისიდან 25 კილომეტრში რუსი ჯარისკაცები დგანან, 400 კილომეტრში კი რუსული სამხედრო ბაზა შენდება. რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საქართველოს პრეზიდენტის გასამართლებას ითხოვს და მას პერსონა ნონ გრატად აცხადებს.

თბილისისა და მოსკოვის ფორმალური დიალოგი მხოლოდ ყენევაში მიმდინარეობს – ერთდროულად ევროკავშირის,

ურთიერთობების აუცილებლობაზე მუდმივი აპელირება ძალიან ემსგავსება 90-იანი წლების ლოზუნგს – „გახსოვდეთ აფხაზეთი!“, რომლის უკან კონკრეტული არაფერი იდგა.

მეტეც, ის ფაქტი, რომ რუსული ჯარები კვლავ თბილისთან დგანან, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსკოვთან ურთიერთობის აწყობა. ამ კითხვაზე პასუხი არც ხელისუფლებას აქვს, რომელიც ვალდებულია ჰქონდეს პასუხი, და არც ოპოზიციას, რომელიც ამ პასუხის უქონლობის გამო მთავრობას აკრიტიკებს.

ილიას უნივერსიტეტში საჯარო ლექციის დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გიგა ბოკერიას ერთ-მა სტუდენტმა ჰკითხა: „ოკუპირებული ტერიტორიების პირობებში და იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ კრემლის პრინციპული პოზიციას, არ ესაუბროს საქართველოს ხელისუფლებას, როგორ უნდა დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან?“ ვიდრე ამ დიალოგის არა-

■ ფინეთი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რა არჩევანის წინაშე შეიძლება დადგეს რუსეთის მეზობელი პატარა ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებლობა უნდა.

კითხვა

უნდა გამოიყვანოს თუ არა რუსეთმა საკუთარი შიარალაზული ძალები სამხრეთი ოსეთის ტერიტორიიდან?

გამოკითხულთა აზრი ამ საკითხზე 2008-2009 წლებში თითქმის არ შეცვლილა. 2008 წელს გამოკითხულთა 56 პროცენტი მიიჩნევდა, რომ რუსული შეიარაღებული ძალები სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე უნდა დარჩეს, 2009 წელს კი ამ მოსაზრებას იზიარებდა გამოკითხულთა 54 პროცენტი. ამავე კითხვაზე 2008-ში უარყოფითი პასუხი ჰქონდა გამოკითხულთა 27 პროცენტს, ერთი წლის შემდეგ კი კვლევაში მონაწილეთა 24 პროცენტი ფიქრობდა, რომ რუსულმა ჯარებმა სამხრეთი ოსეთის მიწა უნდა დატოვონ. 2008 წელს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა 17 პროცენტს, 2009-ში კი – 22 პროცენტს.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები (CRRC)

ეუთო-ს და გაერო-ს მეთვალყურეობით. ვიდრე არ იქნება მკაფიო ნიშნები იმისა, რომ რუსეთი მზად არის, დეოკუპაციის პროცესი დაიწყოს, თბილისს მოსკოვთან პირისპირ ურთიერთობა არ სურს. ასეთია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც სააკაშვილთან სალაპარაკო არაფერი აქვს, ამბობს, რომ „ძვირფასი ქართველი ხალხი დამნაშავე რეჟიმის ხელში აღმოჩნდა“.

კონკრეტული პერსპექტივა, რომ უახლოეს მომავალში მხარეებმა რაიმე საკითხის გარშემო შეიძლება საერთო ენა გამოიხატონ, არ ჩანს.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა, რომელიც აგვისტოს ომიდან ცხრა თვის შემდეგ თბილისში ქართულ-რუსულ ურთიერთობებს იკვლევდა, მითხრა: „ხელისუფლების ოპონენტები სულ იმას მეუბნებიან, რომ აუცილებელია, საქართველომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა აღადგინოს. როცა ვეკითხები, როგორ, ხელეებს ასავსავენ“.

ომიდან 18 თვე გავიდა, თუმცა კითხვას, რომელიც ბრიტანელმა ჟურნალისტმა მაშინ დასვა, დღესაც შესტიკულაციით პასუხობენ. რუსეთთან

პერსპექტიულობაზე ვერცლად უპასუხებდა, ბოკერიამ მას კითხვა შეუბრუნა: „შემთხვევით, თქვენ ხომ არ გაქვთ რაიმე ვარიანტი?“

„ეს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობას ვერ აღადგენს, რადგან იმ

ადამიანს [საკაშვილს], რომელმაც ეს ომი დაიწყო, არა აქვს რესურსი, რუსეთს ელაპარაკოს“, – ეს ნინო ბურჯანაძის პასუხია იმავე კითხვაზე.

„პოლიტიკური დიალოგი მხოლოდ მუამაველების მეშვეობითაა შესაძლებელი. ეს შეიძლება იყოს ევროპული ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვს. პირველი პირების შეხვედრა დღეს გამოირიცხულია“, – ამბობს ოპოზიციური ალიანსის ლიდერი ირაკლი ალასანია.

ვიდრე არც ხელისუფლებამ და არც მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა არ იციან, როგორ მიაღწიონ წარმატებას რუსეთთან საუბრისას, იქნებ საერთოდ არ ღირდეს ამ საუბრის დაწყება?

შესაძლოა, რომ ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დიალოგისა და ურთიერთობების აწყობის ნებისმიერი მცდელობა ახალ საფრთხეებს აჩენს.

ამის მაგალითი პუტინთან ზურაბ ნო-  
ლაიდელის შეხვედრაა, რომელმაც ის კი  
არ აჩვენა, რომ რუსეთთან დიალოგი  
შესაძლებელია, პირიქით, დაადასტურა,  
რომ მოსკოვი ხელიდან არ უშვებს შანსს,  
საქართველოს ყველა პირადი ტრაგედია  
სათავისოდ გამოიყენოს.

საქართველოს ხელისუფლებას, რომელ-  
საც რეალურად შეუძლია გადანყევტილე-  
ბის მიღება, კრემლთან დიალოგი დღეს  
არ სურს. თუ სააკაშვილს ოდესმე ჰქონდა  
ამ ურთიერთობების დალაგების შესაძლე-  
ბლობა, მან იგი საბოლოოდ დაკარგა.

ოპოზიციას კი ან მართლა სჯერა  
საკუთარი წარმატების, ან ამომრჩევლე-  
ბს უქმნის ამის ილუზიას.

2008 წლის 26 აგვისტო, როდესაც  
კრემლმა აფხაზეთის და ოსეთის და-  
მოუკიდებლობა აღიარა, მკაფიო პასუხი  
იყო იმ მოსაზრებაზე, რომ, დათმობების  
სანაცვლოდ, რუსეთმა შეიძლება საქარ-  
თველოს ტერიტორიული მთლიანობის  
აღდგენას ხელი არ შეუშალოს.

კრემლში, მინიმუმ უახლოესი ათწ-  
ლეულის განმავლობაში დარჩება ხელი-  
სუფლება, რომელიც ამ გადანყევტი-  
ლებას არ გააუქმებს და დეოკუპაციის  
პროცესს არ დაინეებს.

26 აგვისტოს გადანყევტილებით, კრე-  
მლმა რამდენიმე წლით ადრე განსაზღ-  
ვრა თბილისთან ყველა შესაძლო დია-  
ლოგის ტონი. საქართველოს ნებისმიერ  
მომდევნო პრეზიდენტს რუსეთთან ურ-  
თიერთობისას ამ რეალობისთვის ანგა-  
რომის განევა მოუწევს.

მანევრებისთვის საქართველოს ძალ-  
ზე შეზღუდული არეალი აქვს.

თუ ოფიციალური თბილისი მოსკოვს  
დიალოგზე დათანხმდება, კრემლის მიერ  
ეს კაპიტულაციად და იმ რეალობებსა  
და საზღვრებთან შეგუებად იქნება აღქ-  
მული, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში  
თვითონვე დაანესა.

რუსეთის იგნორირება და დიალოგზე  
უარის თქმაც ირიბად იმის აღიარებაა,  
რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის  
დეოკუპაციაზე ლაპარაკს დღეს არანაი-  
რი პერსპექტივა არ აქვს.

აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ საქარ-  
თველოს ტერიტორიულ კონფლიქტებში  
რუსეთი მხარეა. თუმცა, ამავე დროს, ამ  
ომმა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის  
ბედიც დიდი ხნით განსაზღვრა.

ალარც იმის ილუზია არსებობს, რომ  
აშშ ან ევროპა იმაზე მეტს გააკეთებენ  
საქართველოს ინტერესების დასაცავად,  
რაც აქამდე გააკეთეს.

საქართველო აგვისტოს ომში რუსეთ-  
თან დამარცხდა, ისევე – როგორც ფინე-  
თი 1940 წელს საბჭოთა კავშირთან. „ზა-  
მთრის ომში“ ფინეთმა 26 ათასი ადამიანი  
და საკუთარი ტერიტორიების 11 პროცენ-  
ტი დაკარგა. თითქმის ნახევარი მილიონი  
დევნილად იქცა. ამის სანაცვლოდ, ფინე-  
თი გასაბჭოებას გადაუღრწა და დამოუკი-  
დებლობა შეინარჩუნა. დღეს ფინეთის და  
რუსეთის განვითარების დონის შედარება  
ისეთივე აბსურდულია, როგორც ამ ორი  
ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბების.

შესაძლოა, საქართველოს და ფინეთის  
ისტორიაში განსხვავება მეტია, ვიდრე  
საერთო. თუმცა, ეს კლასიკური მაგალი-  
თი კარგად აჩვენებს, თუ რა არჩევანის  
წინაშე შეიძლება დადგეს რუსეთის მე-

ზობელი პატარა ქვეყანა, რომელსაც და-  
მოუკიდებლობა უნდა.

საქართველო ამ არჩევანის წინაშე  
ჯერ არ დამდგარა. ცალკე აღებული  
არც აფხაზეთი და არც სამხრეთი ოსეთი  
კრემლისთვის თვითმყოფად ღირებულე-  
ბას არ წარმოადგენს. ეს ტერიტორიები  
მხოლოდ ინსტრუმენტებია საქართვე-  
ლოზე ზემოქმედებისთვის, რომლებსაც  
უკვე 20 წელია, წარმატებით იყენებს.

ამ ხნის მანძილზე ორივე მხარემ საკმა-  
რისად „იზრუნა“ ერთმანეთთან ურთიერ-  
ობების გასაფუჭებლად. საქართველოს  
ვერც ერთმა ხელისუფლებამ არათუ ვერ  
შეძლო რუსეთის ხელში ამ ინსტრუმენ-  
ტების განეიტრალება, არამედ პირიქით,  
უფრო გააძლიერა ისინი. 2008 წლის ომი  
ამის ერთ-ერთი მაგალითია.

დღეს საქართველოსთვის მთავარი  
გამონევა რუსეთთან ურთიერთობების  
დალაგება კი არ არის, არამედ ის, თუ  
როგორ დაიყვანოს მინიმუმამდე მისი სა-  
ქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები.

არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ  
ეყოფა გამბედაობა, საკუთარ ამომრჩე-  
ველს პირდაპირ უთხრას, რომ ამ ეტაპზე  
ყველაზე პრაგმატულია, განვითარებაზე  
აფხაზეთის და ოსეთის გარეშე ვიფი-  
ქროთ. არადა, თუ საქართველო კონფლი-  
ქტებთან მიმართებაში ახალ მიდგომას არ  
მოძებნის, უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე  
ტერიტორიებია. **■**

**კითხვა**

LEVADA CENTRE-ის მიერ  
ჩატარებულ სოციოლოგიურ  
გამოკითხვაში – აფხაზეთისა  
და სამხრეთი ოსეთის ალინარება  
რუსეთისთვის საზიანო იყო თუ  
სასარგებლო?

ერთი წლის განმავლობაში აზრი  
რადიკალურად შეიცვალა.

თუკი 2008 წელს გამოკითხულთა  
40 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ამით  
რუსეთი იხიერებდა, 2009 წელს ეს  
აზრი გამოკითხულთა მხოლოდ 29  
პროცენტმა შეინარჩუნა. 2009-ში არ  
გაზრდილა იმ ადამიანების რიცხვი  
(15 პროცენტი), რომლებიც ამ ნაბიჯს  
რუსეთისთვის საზიანოდ მიიჩნევდნენ.  
სამაგიეროდ, უფრო მეტმა ადამიანმა  
ირწმუნა (40 პროცენტი), რომ სამხრე-  
თი ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებას  
რუსეთისთვის არაფერი მოუტანია –  
არც სარგებელი და არც ზიანი.

კავკასიის კვლევითი რესურსების  
ცენტრები (CRRC)

**რას ფიქრობთ 2008 წლის აგვისტოს სამხრეთი ოსეთის  
კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ინტერვენსიაზე?**

ამ კითხვაზე კვლევაში მონაწილე  
მოქალაქეების შეხედულებები  
პროცენტულად ასე გადანაწილდა:  
გამოკითხულთა 67 პროცენტი  
მიიჩნევს, რომ სამხედრო ინტერვენცია  
– ეს იყო ერთადერთი გამოსავალი  
შექმნილ სიტუაციაში. მოსახლეობის  
13 პროცენტისთვის კი ეს რუსული  
დიპლომატიის მარცხზე მეტყველებს  
და იმას ადასტურებს, რომ რუსეთის  
ხელმძღვანელობა უუნარო აღმოჩნდა,  
ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი  
მშვიდობიანი მოლაპარაკებებით  
მოეგვარებინა. გამოკითხულთა ოც  
პროცენტს კითხვაზე ცალსახა პასუხის  
გაცემა გაუჭირდა.

კავკასიის კვლევითი რესურსების  
ცენტრები (CRRC)



## მეზობლანი

# გამარჯვებულის პორტრეტი და სცენარი დამარცხებულისთვის

იულია ტიმოშენკო უკრაინის პრეზიდენტი ვერ გახდა. ახლა ის ცდილობს, პრემიერ-მინისტრის პოსტიც არ დაკარგოს.

ანასტასია ობრაზცოვა, კიევი



ფოტო ანასტასია ობრაზცოვა

საპროკოვი, უკრაინა, იანვარი, 2010

ლიონია, ლიონია, ვიტია, ვიტია.....  
ეს არც საბავშვო გათვლაა და არც ენის  
გასატეხი. ეს უკრაინის პრეზიდენტების  
სახელების ჩამონათვალია. შემთხვევი-  
თობაა? დამთხვევა? კანონზომიერება?  
სამართლიანობის აღდგენა, – დარწმუნ-  
ებულია ვიქტორ იანუკოვიჩის უახლო-  
ესი გარემოცვა. რეგიონების პარტიის  
ლიდერი არ მალავს, რომ უსასრულოდ  
გრძელი ხუთი წლის მანძილზე უცდიდა  
არჩევნებში გამარჯვების მილოცვას. და

მოახერხა კიდეც იმის დამტკიცება, რომ  
ოცნებები სრულდება, მთავარია ძალიან,  
ძალიან გინდოდეს.

რეგიონების პარტიის ლიდერს, არა  
მხოლოდ საზღვარგარეთ, პირველ რიგ-  
ში თავად უკრაინაში აღიქვამენ ვიქტორ  
იუშჩენკოსა და, შესაბამისად, იულია  
ტიმოშენკოს ანტიპოდად, რომელმაც,  
მართალია, საკუთარი პარტიის ფერე-  
ზად თეთრი და წითელი აირჩია, მაგრამ  
ელექტორატისთვის მაინც „ნარინჯის-

ფრად“ დარჩა. მთავარი განსხვავებაა  
ვიქტორ N2-ის პრორუსულობა. როგორც  
ხუთი წლის წინათ, ვიქტორ იანუკოვიჩი  
დღესაც რუსულენოვანი მოქალაქეების  
ლიდერად რჩება, რომლებიც „უფროს  
ძმასთან“ კავშირს ესწრაფვიან. სწორედ  
ამ მიმართულებით მოელიან ისინი ახალი  
პრეზიდენტისგან ყველაზე გაბედულ მო-  
ქმედებებს, კერძოდ კი – რუსული ენის-  
თვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის  
მინიჭებას და ვიქტორ იუშჩენკოს დად-

გენილების გაუქმებას, რომლითაც სტეფან ბანდერას უკრაინის გმირის წოდება მიენიჭა.

სხვათა შორის, იუშჩენკომ თავის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე ერთი ძალიან საინტერესო რამ თქვა: „არავინ აწევს ხელს ამ ბრძანების გასაუქმებლად, იმიტომ რომ ბანდერა რომ არ ყოფილიყო, იანუკოვიჩი არ იქნებოდა. იანუკოვიჩი დამოუკიდებელი უკრაინის პრეზიდენტი ვერ გახდებოდა“. სინამდვილეში იუშჩენკო იმას გულისხმობდა, რომ ბანდერას გარეშე უკრაინა ვერასოდეს გახდებოდა დამოუკიდებელი. თუმცა, მეორე მხრივ, ვიქტორ ანდრევიჩის არჩევნების წინ ამ ბრძანებისთვის ხელი რომ არ მოეწერა, კიდევ საკითხავია, ვის სასარგებლოდ დასრულდებოდა ეს არჩევნები – ამ გმირისადმი უკრაინის მოსახლეობას ძალიან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს.

შეგნებულად დაეხმარა თუ არა იუშჩენკო იანუკოვიჩს, ეს უკვე ალარაა მნიშვნელოვანი, გაცილებით საინტერესოა, ელის თუ არა ქვეყანას ას ოთხმოცი გრადუსით შეტრიალება: დემოკრატიიდან დიქტატურისკენ, ევროპიდან რუსეთისკენ.

ჯერჯერობით არც თავად იანუკოვიჩი და არც მისი უახლოესი გარემოცვა არაფერ ამგვარს არ ავლენენ, პოლიტიკის ექსპერტები კი დარწმუნებულები არიან, რომ უახლოეს მომავალში ის სადავო გადაწყვეტილებების მიღებას არ დააპირებს.

იანუკოვიჩს ხომ მთელი უკრაინის პრეზიდენტობა უნდა, და არა მხოლოდ მისი აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები. ამიტომაც, საგარეო პოლიტიკაში უკრაინას, სავარაუდოდ, „ძველ სქემასთან“ მოუწევს მიბრუნება – იმეგობროს მოსკოვთანაც და ბრიუსელთანაც; თვალსაჩინო მიზეზების გარეშე, თავი შეიკავოს მკვეთრი მოქმედებებისგან. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ევროპას უკრაინისგან? გაზის უწყვეტად მიწოდება. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების გარეშე კი, ამის გარანტია არ არსებობს.

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის დროს, 2004 წლისგან განსხვავებით, „რეგიონელები“, ტრადიციულად, რუსულენოვანი მოსახლეობის დამცავ ლოზუნგებზე კი არ ამახვილებდნენ ყურადღებას, არამედ ამომრჩეველს ეკონომიკურ სტაბილურობას, სოციალურ დაცვას და ეფექტურ მმართველობას ჰპირდებოდნენ. გამუდმებით ასხენებდნენ მათ, რომ დონეცკის გუბერნატორად ვიქტორ ფიო-

დოროვიჩის ყოფნის პერიოდში ამ მხარის ეკონომიკა არნახულ სიმაღლეზე ავიდა, ხოლო ორჯერ პრემიერის პოსტზე, მან მოქალაქეთა კეთილდღეობის არსებითად გაუმჯობესებას მიაღწია.

ახლა კი იანუკოვიჩს იმის დამტკიცება მოუწევს, რომ შეუძლია ეკონომიკურ კრიზისსაც ეფექტურად გაუმკლავდეს. ვერ დაამტკიცებს და, იმ ამომრჩეველთა მხარდაჭერას დაკარგავს, რომლებმაც მეორე ტურში „მთავრობის უნიჭო მუშაობის“ სანინააღმდეგოდ მას მისცეს ხმა. ეს გახლავთ ციტატა რეგიონების პარტიის ლიდერის ნინასაარჩევნო საარეკლამო რგოლიდან.

„ვიქტორ იანუკოვიჩის უარყოფითი თვისებებია – სიბარიტობა და სიზარმაცე“, – ამბობს ყოფილი რეგიონელი ტარას ჩერნოვილი, რომელიც 2004 წელს იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა და საკმაოდ კარგად იცნობს მას.

■ იანუკოვიჩს მთელი უკრაინის პრეზიდენტობა უნდა, და არა მხოლოდ მისი აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეების. სამაგიეროს გადახდის მცდელობა და რეგანმისტული განწყობები მას არ ექნება.



დემუტატი იხსენებს, რომ პირველი პრემიერობის დროს იანუკოვიჩი ნამდვილად ნელეზზე ფეხს იდგამდა, 2006-2007 წლებში კი უკვე ზარმაცობდა. „იმ დროს მასთან „შეღწევა“ უკვე შეუძლებელი იყო, მთავრობის სხდომებს ხან ვინ თავმჯდომარეობდა და ხან ვინ, თვითონ კი შეივლიდა, ცოტა ხანს დაჯდებოდა საპატიო ადგილას და მიდიოდა. ეჭვი მაქვს, რომ ამჯერად ძველი იანუკოვიჩი დაბრუნდება, ალბათ უფრო

უკანასკნელი ტენდენციის განვითარება მოხდება, და ეს იუშჩენკოს მმართველობის სტილს ემგავნება. სამაგიეროს გადახდის მცდელობა და რეგანმისტული განწყობები იანუკოვიჩს არ ექნება. ის საკმაოდ კეთილი ადამიანია, უხეში და მკვეთრი არც არასდროს ყოფილა. უბრალოდ, პრეზიდენტობა მთლად მისი საქმე არ არის. იანუკოვიჩი ძალიან ადვილად მართავდა ადამიანთა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება უჭირს“.

თავის მხრივ, ყოფილი „რეგიონელი“ ინა ბოგოსლოვსკაია, ასევე საკუთარი უბით იანუკოვიჩის ჩამოშორებული, დარწმუნებულია, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტი ისევე შეძლებს თავიდან გამოავლინოს მმართველობის ნიჭი. „მას იმის ამბიცია აქვს, რომ ისეთ პრეზიდენტად მიიჩნიონ, რომელიც უკრაინას მეტ-ნაკლებად განვითარებული

ქვეყნების შემადგენლობაში შეიყვანს, ევროპაში მანაც. თუკი ეს ამბიცია თავგანწირული შრომით დადასტურდება, რასაკვირველია, ის სერიოზული ეკონომიკური გარღვევებისთვის ბიზნეს-ელიტების კონსოლიდირებასაც შეძლებს. საამისოდ მას საკმაოდ ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც“, – ამბობს ბოგოსლოვსკაია.

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია, უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით, 25

თებერვალსა და დანიშნული. უკრაინელი ექსპერტების აზრით, იულია ტიმოშენკო ახლა უკვე ვეღარ შეძლებს ხალხისადმი ერთგულების ფიცის დადებამი ხელი შეუშალოს თავის ოპონენტს. თუმცა ტიმოშენკო დანებებას არ აპირებს. გასულ კვირას მან უკრაინის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა. თავის განცხადებაში პრემიერ-მინისტრი განმეორებით კენჭისყრას ითხოვს, ანუ მესამე ტურს.

მოკლედ, თუკი სასამართლო სარჩელს დაკამაფილებს, ისტორია მხოლოდ პრეზიდენტების სახელების განმეორებით არ დასრულდება; მეტიც, იულია ტიმოშენკოს ბლოკის ლიდერმა მოითხოვა ინაუგურაციის მანამდე გადადება, ვიდრე მის საჩივარს არ განიხილავენ. მოსამართლეები ისე მოიქცნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ – სარჩელი განსახილველად მიიღეს და დროებით შეაჩერეს ცესკო-ს გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში იანუკოვიჩის გამარჯვებასთან დაკავშირებით. თუმცა, ინაუგურაცია არ გადაუდიათ.

პოლიტოლოგი მიხაილ პოგრებენსკი დარწმუნებულია, რომ ცერემონია დროულად ჩატარდება. „მოსამართლეები სარ-

თავს, იმიტომ რომ ყველა მოსამართლეს მაინც იანუკოვიჩი და იუშენკო აკონტროლებენ; დიდი-დიდი, მეტ-ნაკლებად კონფლიქტურ უბნებზე ხმების ხელახლა დათვლის უფლება მოაპოვოს“.

საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებიც ტიმოშენკოს საწინააღმდეგოა. ისევე, როგორც 2004 წელს, გლობალური ფალსიფიკაცია მათ არც ახლა შეუწინავეთ, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უკვე აღიარა იანუკოვიჩის გამარჯვება. ის უკრაინულმა პოლიტიკუმამაც აღიარა. ტიმოშენკოს ზოგიერთი თანამებრძოლი ჯერ კიდევ შვიდ თებერვალს „გამოუტყდა სიყვარულში“ ახალ პრეზიდენტს. დღეს კი უმაღლესი რადა აბარებს პრემიერ-მინისტრს ერთგულების გამოცდას. იულია ტიმოშენკომ ლიად განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს. ანუ, თეთრ-ცისფერი გუნდის წევრებს, რომლებსაც ერთი სული აქვთ ადგილები დაიკაონ მინისტრთა კაბინეტში, ტიმოშენკოს იქიდან ხელით გამოყვანა მოუწევთ. სხვათა შორის, ეს არც ისე ადვილი გასაკეთებელია.

ტიმოშენკოს გადაყენებას 226 ხმა სჭირდება. თეთრ-ცისფერ გუნდს თეორიულად აქვს ხმების ეს რაოდენობა. პრემიერის გადადგომას ხმას მისცემენ

სი. ამიტომაც რეგიონების პარტია მთელი იმედს „ნაშა უკრაინაზე“ ამყარებს. დე იურე ეს პოლიტიკური ძალა კოალიციაში იულია ტიმოშენკოს ბლოკთან, ხოლო დე ფაქტო ფრაქცია გახლენილია. „ნაშა უკრაინა ნაროდნაია სამოობორონას“ ერთ ნაწილს მოქმედ უმრავლესობაში უნდა დარჩენა, მეორეს თეთრ-ცისფრების გუნდთან ერთად ახალი კოალიციის შექმნა სურს. ტიმოშენკოს ბედს ისინი გადაწყვეტენ, ვისაც მათ შორის ხმათა უმეტესობა ექნება. ამკარა უპირატესობა არც ერთ მხარეს არ აქვს.

ტიმოშენკოს ეს კარგად ესმის და მისდამი ლოიალურად განწყობილ „ნაშა უკრაინა ნაროდნაია სამოობორონას“ წარმომადგენლებს საკუთარ ხელისუფლებაში მეტ თანამდებობებს სთავაზობს.

ფრაქციის მეორე ნაწილიც სარგებლობს იმით, რომ რეგიონების პარტია მათ გარეშე კოალიციას ვერ შექმნის, და ასევე თანამდებობებს ითხოვენ უკვე ახალ მინისტრთა კაბინეტში, მათ შორის – პრემიერის პოსტსაც. მაგრამ თეთრ-ცისფერი გუნდი ასეთი ხელგაშლილობისთვის მზად არ არის და ურჩევნიათ, „ნაშა უკრაინა ნაროდნაია სამოობორონა“ ვადამდელი არჩევნებით დააშინონ, რაც, ლიტვინის ბლოკის მსგავსად, არც ამ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხელს. დე-ფაქტო ტარას ჩერნოვილს მიაჩნია, რომ ფრაქციიდან მისმა ყოფილმა კოლეგებმა არასწორი ტაქტიკა აირჩიეს, და ახლა უპირატესობა ტიმოშენკოს მხარესაა: „ფეიქრობ, მათ, ვისაც 2012 წლამდე პრემიერად იულია ვლადიმეროვნას დარჩენა უნდოდა, ყველაფერი სწორად გააკეთეს.“

ამ ორმა ადამიანმა (რეგიონების პარტიიდან მოლაპარაკებებზე წარგზავნილები – დე-ფაქტო ანა გერმანი და ბორის კოლესნიკოვი - ავტ.) არასწორი ტაქტიკა აირჩია, ყველაფერი გააკეთა, რომ ახალი კოალიცია არ შექმნილიყო“. ჩერნოვილის პროგნოზი თუ გამართლდა, და 26 თებერვალს ახლანდელმა კოალიციამ საკუთარი არსებობა დაადასტურა, ვიქტორ იანუკოვიჩის სხვა გზა აღარ დარჩება, მოუწევს თანამშრომლობა ტიმოშენკოსთან (ის მთავრობის ხელმძღვანელის სტატუსით დარჩება). თუ ასე მოხდა, ვიქტორ იანუკოვიჩს უნდა ვუთანაგოდნოთ: საპარლამენტო უმრავლესობისა და სამთავრობო გუნდის გარეშე, ქვეყნის მართვა უაღრესად ძნელი იქნება. ყველაფრის პრემიერ-მინისტრისთვის გადაბრუნებას კი კარგი არაფერი მოჰყვება – საპრეზიდენტო არჩევნებისას ვიქტორ იუშენკოს 5,4% ამის დასტურია. ■

## ■ თეთრ-ცისფერი გუნდის წევრებს მინისტრთა კაბინეტიდან იულია ტიმოშენკოს გამოყვანა ხელით მოუწევთ.

ჩელის არსს განიხილავენ და გადაწყვეტენ, რომ დარღვევები იყო, თუმცა არა ისეთი, რომ არჩევნების შედეგებზე გავლენა მოეხდინა. ყველაფერი ამით დასრულდება. დარწმუნებული ვარ, ტიმოშენკომაც იცის, რომ არავითარი მესამე ტური არ იქნება. ის გონიერი ადამიანია და შეუძლებელია, ეს არ ესმოდეს; უბრალოდ, თავის ამომრჩეველს აჩვენებს, რომ ის ამ ქვეყანაში მთავარი მებრძოლია და სწორედ მასთან ერთად შეუძლია ხალხს, წინ აღუდგეს არასწორ ხელისუფლებას“, – განუმარტა მან ჟურნალისტებს. მისი კოლეგა ვიქტორ ნებოუენკო კი ვარაუდობს, რომ უმაღლესი სადმინისტრაციო სასამართლოს შემდეგ პრემიერი სხვა ინსტანციებშიც განაგრძობს სამართლის ძიებას, მაგალითად, უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებში. მაგრამ იქაც დამარცხება ელის: „არ მგონია, ტიმოშენკომ სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებას მიაღწიოს, რომელიც მას მესამე ტურში გასვლის ნებას დარ-

– ლიტვინის ბლოკი, კომუნისტები და „ნაშა უკრაინა“ ნაწილი (ამის მაგალითები უკვე იყო); ხოლო ახალი პრემიერის კანდიდატურა უნდა წამოაყენოს ახალმა საპარლამენტო კოალიციამ, რომელიც ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას. ამისთვის კი უბრალოდ ხმების უმრავლესობა არ კმარა. კოალიციის ჩამოყალიბების გადაწყვეტილებას ფრაქციები იღებენ.

უმაღლეს რადაში გაცხარებული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. პირველი დანებდა სპიკერი ვლადიმერ ლიტვინი. როგორც ჩანს, ის უკვე მოელაპარაკა თეთრ-ცისფერ გუნდს, რომ მათ კოალიციაში გაერთიანდებო. ყოველ შემთხვევაში, სწორედ სპიკერმა მოსთხოვა ახლანდელ „პროტიმოშენკოულ“ კოალიციას ათი დღის ვადაში მიუტანონ მას 226 ხელმოწერა მათი არსებობის დასადასტურებლად. არ იქნება ხელმონერები, არც კოალიცია იქნება.

ახალი კოალიციის შესაქმნელად მხოლოდ ლიტვინის ბლოკი არ არის საკმარისი.

# ალიარი ან წალი

სოხუმის ხელისუფლება ცდილობს გაერო-ს ორგანიზაციებთან და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან გააფორმოს საგანგებო მემორანდუმი, რომელიც დაფუძნებული იქნება „აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის“ პრინციპზე.

ოლესია ვართანიანი



ფოტო: რუსთაველა

■ ვიტალი ჩურკინის გამოსვლა გაერო-ში, 11 აგვისტო 2008

ასეთი წინადადება წამოაყენეს სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წლის დეკემბერში. ზოგიერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მაშინვე არ განაცხადა უარი იმ იმედით, რომ დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებით შეძლებდა კომპრომისის მიღწევას და თავიდან აიცილებდა იმ საბუთების ხელმოწერას, რომლებშიც აფხაზეთის დამოუკიდებლობა იყო ფორმულირებული.

თითქმის ორი თვის შემდეგაც სოხუმის ხელისუფლებას ოდნავაც არ შეუზღუდებია საკუთარი მოთხოვნა.

სერგეი შამბა, აფხაზეთის ახალი დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი, ამბობს,

რომ იმ შემთხვევაში, თუკი გაერო-ს ორგანიზაციები და სხვა საერთაშორისო სტრუქტურები მათ მიერ შეთავაზებული მემორანდუმის ხელმოწერას არ დათანხმდებიან, მაშინ ამ ორგანიზაციებს სოხუმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე საქმიანობის შეწყვეტა მოუწევთ.

„აქ მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ახალ პოლიტიკურ რეაღიებს“, – განაცხადა თებერვლის შუა რიცხვებში შამბამ და რუსეთისა და სხვა რამდენიმე ქვეყნის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე მიუთითა.

გაერო-ს ორგანიზაციისა და სხვა

საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლები აფხაზეთის მხარის წინადადებასთან დაკავშირებით ოფიციალურ კონსულტაციებს აგრძელებენ. ზოგი მათგანი კერძო საუბრებში იმასაც ამბობს, რომ მათი აფხაზეთში დარჩენა ხელს არ აძლევთ რუს ჩინოვნიკებს, რომლებსაც სულაც არ ეპიტნავენათ ზედმეტი მოთვალთვალე ჰყავდეთ სამხედრო ბაზების შენებისას. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ აფხაზეთში მათი მისიები, შესაძლოა, უკვე წლევანდელი ზაფხულის დასაწყისში შეწყდეს.

აფხაზეთში რამდენიმე ათეული საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს, ზოგ მათგანს იქ თავისი მუდმივი წარმომადგენლობა ჰყავს. მათ შორისაა სამი ჰუმანიტარული მისია გაერო-UNDP, UNICEF და UNHCR. ბოლო წლის განმავლობაში, გაერო-ს დამკვირვებელთა აფხაზეთიდან ნასვლის მიუხედავად, ეს მისიები მოღვაწეობას აგრძელებდნენ.

აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო დონორების მხრიდან საქართველოს კონფლიქტური რეგიონებისადმი ინტერესმა იმატა. მათ კვლავ დაიწყეს ფულის გამოყოფა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და აფხაზეთისა და ოსეთის განსავითარებლად. ამის შედეგად აფხაზეთში მომუშავე ჰუმანიტარული ორგანიზაციების ბიუჯეტი რამდენჯერმე გაიზარდა.

მრავალი წლის მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთის სამოქალაქო სექტორის ფინანსირების თითქმის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ. გარდა ამისა, ზოგიერთი ორგანიზაცია, თუნდაც „საერთაშორისო წითელი ჯვარი“, იქ მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარულ მისიას ასრულებს, უბრალო ადამიანებს ეხმარებიან.

თუკი საერთაშორისო სტრუქტურე-

ბი აფხაზეთს დატოვებენ, დახმარების დამატებითი წყარო გამოცვლება გალის და ოჩამჩირის ქართულ მოსახლეობასაც. მოცემულ მომენტში იქ აქტიურად მუშაობს UNHCR, რომლის ფუნქციონირება სოხუმის მიერ მემორანდუმის ხელმოწერის შეთავაზების შემდეგ საეჭვო გახდა.

გასულ კვირას UNHCR-ის და გაერო-ს სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები სოხუმში იმყოფებოდნენ, სადაც სოხუმის ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მემორანდუმის უკვე წერილობით ვარიანტს განიხილავდნენ. „ლიბერალს“ საშუალება მიეცა, ენახა ამ საბუთის ასლი.

მემორანდუმი სულ A4-ის ზომის ერთ გვერდშია ჩატეული. იგულისხმება, რომ მას ხელი უნდა მოაწერონ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენელმა. პრეამბულაში ნათქვამია, რომ სა-



ძელდება. გაერო-ს ორგანიზაციათა წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგაც.

გაერო-ს ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თქმით, შეუძლებელია სოხუმის ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმალიზება, მით უმეტეს – ისეთი დოკუმენტის ხელმოწერა, რომელშიც თუნდაც რაიმე ფორმით აღიარებულია აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

„ვიდრე გენერალური ასამბლეა ან გაერო-ს სხვა კომპეტენტური ორგანო არ აღიარებს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის დამოუკიდებლობას, ჩვენთვის ის ქვეყანა არ არსებობს“, – თქვა პიტერ ნიკოლაუსმა, გაერო-ს უმაღლესი კომისარის სამმართველოს წარმომადგენელმა.

„ვიდრე კოსოვოს, აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა გაერო-ს მიერ არ არის აღიარებული,

■ „აფხაზი ჩინოვნიკები „საკმარისად კომპეტენტურები“ არიან საიმისოდ, რომ თავად განსაზღვრონ, „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ პრინციპზე დამყარებული მემორანდუმის შეთავაზებით რა დადებით და უარყოფით შედეგებს უნდა ელოდნენ“.

ბუთი შედგენილია საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, რის შემდეგაც მემორანდუმის დადების მთავარ პირობად სახელდება აფხაზეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

შემდეგ საბუთში ნათქვამია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირობებსა და მოვალეობებზე, დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობას. ხელმოწერი საერთაშორისო ორგანიზაციაც თავის მხრივ ვალდებულებას იღებს, სოხუმის ხელისუფლებას წარუდგინოს სრული ინფორმაცია საკუთარი გეგმების და ჩატარებული სამუშაოს შესახებ, ასევე პირადი პერსონალის ნებისმიერი ცვლილების თაობაზე.

„ჩვენ მათ ვთავაზობთ, აფხაზურ მხარესთან დადონ შეთანხმება, რომელშიც განსაზღვრული იქნება მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე, ჩვენი გარკვეული ვალდებულებები. ანუ, ეს მათი საქმიანობის რეგულაციების საბუთია“, – მიუთითებს დოკუმენტის ფუნქციურ მნიშვნელო-

ბაზე შამბა.

იგი მათ სთავაზობს, ნუ დაინახვენ ამ წინადადების მხოლოდ „პოლიტიკურ მხარეებს“ და ამ ინიციატივის არსს დაუკვირდნენ.

გაერო-ს წარმომადგენლებმა 1993 წელს საქართველოს ხელისუფლებასთან დადეს ასეთი შეთანხმება. აფხაზური დოკუმენტისგან განსხვავებით, მან 12 გვერდი დაიკავა და მასში დაწვრილებითაა აღწერილი მხარეების მუშაობის ნესები, ასევე – თუ როგორ უნდა მოიქცნენ სადავო სიტუაციებში.

ასეთი შეთანხმებები სტანდარტულ, საბაზო დოკუმენტებს წარმოადგენს, რომლებსაც დებენ ყველა იმ სახელმწიფოსთან, სადაც გაერო-ს ჰუმანიტარული ორგანიზაციები იწყებენ მუშაობას.

გაერო-ს ორგანიზაციათა წარმომადგენლები ამბობენ, რომ აფხაზეთში სოხუმის ხელისუფლებასთან მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან; ინფორმაციას ცვლიან, აუცილებლობის შემთხვევაში მათ დახმარებისთვისაც მიმართავენ.

„დე ფაქტო“ ურთიერთობათა ასეთი ფორმატი, უკვე მრავალი წელია, გრ-

ჩვენ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ არანაირი ისეთი დოკუმენტის ხელმოწერა, რომლითაც მათ დამოუკიდებლობას ვაღიარებდით. ეს საკითხი ჩვენთან არც უნდა განიხილებოდეს“.

ამგვარ არგუმენტაციას იშველიებენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

ნიკოლაუსის თქმით, თავდაპირველად საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, სოხუმის ხელისუფლების ამ წინადადებაზე „ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სახელმწიფოს სტრატეგიის“ რანგში ემსჯელა.

ამ სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილი გულისხმობს კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას. ვარაუდობდნენ, რომ თუკი სოხუმის ხელისუფლება ამ სტრატეგიას მიიღებდა, შესაძლებელი გახდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების აფხაზეთში მუშაობის საკითხების შეთანხმებაც, ხოლო მემორანდუმის ხელმოწერის საკითხი თავისთავად გაქრებოდა.

თებერვლის დასაწყისში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომად-

გენლებმა სტრატეგია გააკრიტიკეს, უარი განაცხადეს მის განხილვაზეც კი. დღის წესრიგში ისევ დადგა საკითხი, რომ შესაძლებელი იყო აფხაზეთის ხელისუფლებასთან მემორანდუმისთვის ხელი არ მოეწერათ.

მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა აუცილებელია, და სოხუმი სულ ტყუილად ცდილობს მათთვის ხელის შეშლას.

„ვფიქრობ, საკითხის ასე დაყენება, გასაგები მიზეზების გამო, მის გადაწყვეტას ხელს შეუშლის“, – თქვა იაკობაშვილმა.

„არადა, გამოსავალი უნდა მოიძებნოს, რადგან ეს ორგანიზაციები უამრავ კარგ საქმეს აკეთებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის. ასე რომ, მათი ძალით განდევნა ან უსაფუძვლო მოთხოვნების მათთვის წაყენება არასწორი ნაბიჯია“.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკების პროცესის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, გიორგი ხუციშვილი ამბობს, რომ სოხუმის ხელისუფლებისთვის აუცილებელია მემორანდუმის ხელმოწერის მოთხოვნა. ეს მათ, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე საკუთარი პიარისთვის სჭირდებათ.

„ეს აფხაზეთის პოლიტიკაა. ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ რაც შეიძლება მეტი იმის დამადასტურებელი საბუთი დააგროვონ, თითქოს საერთაშორისო ორგანიზაციები ანგარიშს უწევენ აფხაზეთს – როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას“, – ამბობს ხუციშვილი.

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დარგში ეუთო-ს ახალმა სპეციალურმა წარმომადგენელმა, ბოლატ ნურგალიევმა თბილისში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტისას თქვა, რომ აფხაზი ჩინოვნიკები „საკმარისად კომპეტენტურები“ არიან საიმისოდ, რომ თავად განსაზღვრონ, „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ პრინციპზე დამყარებული მემორანდუმის შეთავაზებით რა დადებით და უარყოფით შედეგებს უნდა ელოდნენ.

ნურგალიევის აზრით, არ ღირს საბოლოო გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება, თუმცა მას ისიც დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას შეიძლება აფხაზეთის დატოვება მოუხდეს. 



# ლიბერალი

## ყოველკვირეული „ლიბერალი“ 1 მარტიდან

შურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვანოდით თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)

# ომის დამნაშავეები

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ ქართველ არასამთავრობოთა ანგარიში მოისმინა. თუკი სასამართლო გამოძიებას დაიწყებს, ჩნდება შანსი, რომ ომის დამნაშავეები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.

## ნინო ბეკიშვილი

„გორის რაიონის სოფელ კარბში 2008 წლის 9 აგვისტოს პირველი აფეთქების ხმა დილით, დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე გაისმა, ერთი საათის შემდეგ კი რუსულმა ავიაციამ სოფლის ცენტრში, ე.წ. ბიძინა-ანთ უბანში ისევ ჩამოყარა ჭურვები. დაიღუპა 7 და დაიჭრა 9 ადამიანი; დაინგრა საცხოვრებელი სახლები და განადგურდა ხეხილის ბაღები. ამ დროისათვის სოფელ კარბში ქართული ჯარი არ იმყოფებოდა და არც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. დაჭრილები შეძლებისდაგვარად გადაჰყავდათ ჯერ ტყვიავის და შემდეგ გორის საავადმყოფოებში. გარდაცვლილებს ოჯახის წევრები და მეზობლები საცხოვრებელი სახლის ეზოებში გათხრილ დროებით საფლავებში მარხავდნენ“.

„გორის რაიონის სოფელ ერედვის ერთ-ერთი მკვიდრი ჰყვება, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს 18:00-დან 19:00 საათამდე სოფლის ტერიტორიის პირველად დაბომბვის შედეგად დაიშხვრა მისი სახლის ფანჯრები, კარი და სახურავი, ჩამოინგრა ქერი და დაზიანდა კედლები. 30 წუთის შემდეგ რუსულმა ავიაციამ კვლავ გაიმეორა დაბომბვა. დაიღუპა რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლე. მისმა ოჯახმა და მეზობლებმა იმავე დღეს 19:30 საათზე დატოვეს სოფელი. ღამე გორში გაათენეს, რომელიც 9 აგვისტოს ასევე დაიბომბა“.

„2008 წლის აგვისტოში სოფელ ერედვში ჩამოვარდა დიდი წონის ბომბი, რომელმაც ათამდე სახლი დაანგრა, დაიხოცა სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობა. ბომბის ნამსხვრევებმა ერთ-ერთი მოსახლის სახლის ღობე, ფანჯრები და სახურავი დაცხრილა. ის მშობლებთან და მეზობლებთან ერთად სახლის სარდაფში იმალებოდა. 2008 წლის 10 აგვისტოს ღამეს ისინი სახლშიც ველარ გაჩერდნენ და სიმინდის ყანაში გაათენეს. მეორე დილას



სოფელი კარალეთი, სექტემბერი 2008

ფოტო: ლუკა ნიკოლოზი

ოსი ეროვნების მოქალაქეებმა მისი სახლი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ ცეცხლგამჩენი რაკეტები ესროლეს და დაწვეს. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ასევე გაძარცვეს და დაწვეს მისი ძმების სახლებიც. საღამოს ერედვის რამდენიმე მკვიდრი გორისკენ გამოჰყვა ქართულ სამხედრო მანქანებს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებიდან უკან იხევდნენ. ამ დროს გორიც იბომბებოდა“.

ანგარიშში თავმოყრილია უამრავი ამგვარი ისტორია, რომლებიც ქართულმა არასამთავრობოებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 2 თებერვალს წარუდგინეს. დოკუმენტი სამსჯევრდიანია და 1055 დევნილის მონათხრობს ეფუძნება. უამრავი თვითმხილველის ნაამბობი, დოკუმენტური ფოტო და ვიდეო მასალა ადასტურებს, რომ ქართული მოსახლეობა სწორედ ეთნიკური ნიშნით დაბომბეს, დახოცეს და საკუთარი სახლებიდან გამოყარეს. ჯერჯერობით ამ დანაშაულისთვის არავინ დასჯილა. ანგარიშზე ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა – „საქართვე-

ლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, კავშირი „21-ე საუკუნე“ და „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი“. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ისინი მტკიცებულებებს აგროვებდნენ, ერთობლივი კითხვარი შეიმუშავეს და მასალა როგორც სტატისტიკურად, ასევე ფაქტების შეპირისპირების მეთოდით დამუშავდა. პროექტი ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ იყო მხარდაჭერილი.

„42-ე მუხლის“ წარმომადგენელი თამარ გაბისონია, რომელიც ამ ანგარიშზე მუშაობდა, ამბობს, რომ მათი ორგანიზაცია 400-მდე ადამიანის ინტერესებს იცავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. „დარღვევები ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლს შეეხება, ესაა სიცოცხლის უფლება, ტყვეობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; არის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, იძულებითი შრომის შემთხვევები; საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი. სწორედ

ამ ფაქტებს ეყრდნობა ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა“.

ანგარიშში იკვეთება რუსი და ოსი სამხედრო პირების დანაშაულებანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს არ მიეცათ ოსების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე სრულყოფილად მუშაობის საშუალება, მაინც მოხერხდა ე.წ. „კასეტური ბომბების“ გამოყენების შესახებ მტკიცებულებების მოპოვება. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია მსოფლიო ორგანიზაციების და ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების დასკვნები აგვისტოს ომის შესახებ. არის მოკლე ისტორიული ექსკურსი, როგორ გაჩნდა ეს ოლქი, რა როლი შეასრულა რუსეთმა და ა. შ. გაანალიზებულია პრესაც, კერძოდ, მედიიდან ამოღებული არაერთი ფაქტი, როდესაც კოკოითი პირდაპირ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქართველები საკუთარი სახლებიდან სწორედ ეთნიკური ნიშნით გამოდევნეს, ეს ყველაფერი შეგნებულად გაკეთდა და სწორედ ეს იყო მათი მიზანი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გენოციდს, კაცობრიობის და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ ომის დანაშაულებს განიხილავს. სასამართლო თვითონ ინტერესდება განსაკუთრებით მძიმე საქმეებით და შეუძლია თავადვე დაიწყოს გამოძიება. სასამართლო აგვისტოს ომზე დაკვირვებას 2008 წლიდან ახდენს. თავის დროზე პირველადი მიმართვა იქ საქართველოს მხარეზე გააკეთა და რუსეთის ფედერაციამაც. „საერთაშორისო სისხლის სამართლო იმით განსხვავდება ყველა სხვა სასამართლოსგან, რომ აქ დამნაშავეებს სჯიან, ეს არ არის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც დამნაშავე სახელმწიფო დგინდება და არა კონკრეტული დამნაშავეები. აქ დასტურდება დანაშაული, გამოვლინდება კონკრეტული დამნაშავეები და ისინი ციხეში მიდიან“, – ამბობს ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი, რესპუბლიკური პარტიის წევრი თინა ბიდაშელი, რომელიც ჰააგაში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორთან გიორგი ჩხეიძესთან და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორთან უჩა ნანუაშვილთან ერთად იმყოფებოდა. მათ ან-

■ თუკი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქმის გამოძიებას დაიწყებს, გაჩნდება რეალური შანსი, რომ აგვისტოს ომის დროს ქართველების ეთნონმენდის ორგანიზატორები და შემსრულებლები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.



გარიში სასამართლოს მთავარ პროკურორს ლუის მორენო-ოკამპოს და მისი აპარატის იმ წევრებს წარუდგინეს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის ფაქტებს შეისწავლიან.

გიორგი ჩხეიძის თქმით, „ახლა საკითხი ასე დგას, უნდა დაიწყოს თუ არა სრულმასშტაბიანი გამოძიება სასამართლომ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანგარიში, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სრულყოფილად მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართველების ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ველით, რომ სასამართლოს წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვლენ, ადგილზე შეისწავლიან მოვლენებს და გამოძიება დაიწყება“.

თინა ხიდაშელი იმასაც ამბობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქამდე არ შეუტანია ანგარიში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში: „ტალიანის დასკვნაში დადასტურდა ეთნიკური წმენდა; მით უმეტეს, ამ ფაქტის შემდეგ გაუგებარია, რატომ არ შეიტანა საქართველოს სახელმწიფომ სარჩელი. თანაც, სწორედ ამ სასამართლოში რუსეთი აქტიურად ითხოვს საქმის აღძვრას საქართველოს წინააღმდეგ. პროკურორმა რამდენჯერმე გაგვიმეორა კითხვა, – რატომ არ შემოდის ამგვარი სარჩელი საქართველოს ხელისუფლების სახელითო. ასევე მას აინტერესებდა ჩვენი აზრი, თუ რატომ ითხოვს რუსეთი ასე აქტიურად ქართული მხარის წინააღმდეგ საქმის აღძვრას“.

ქართველი უფლებადამცველები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ თუკი გამოძიება დაიწყება, შეიძლება, ქართული მხრიდანაც აღმოჩნდეს რომელიმე პირი დამნაშავე. თუმცა, მათი აზრით, მთავარია, სასამართლომ მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს. „გამოძიების შედეგად გამოვლინდება, ჩაიდინა თუ არა დანაშაული რომელიმე ქართველმა ჩინოვნიკმა ან სამხედრო პირმა. ამის გამორიცხვა შეუძლებელია. თუმცა, მთავარი, რაც იკვეთება, ქართული მოსახლეობის ეთნონმენდაა“, – ამბობს გიორგი ჩხეიძე.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლები საქართველოში გაზაფხულზე ჩამოვლენ. თუკი სასამართლო საქმის გამოძიებას დაიწყებს, გაჩნდება რეალური შანსი, რომ აგვისტოს ომის დროს ქართველების ეთნონმენდის ორგანიზატორები და შემსრულებლები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. **ა**


არასამთავრობოები მელიის წინააღმდეგ

# მელია ხელისუფლებას მოქალაქეებისგან იცავს

ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ

ხელისუფლება მათი რეპუტაციის შესაღებად ნაციონალურ არხებს იყენებს.

## ნათია გულიაშვილი



2009 წლის 10 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებაში გასულ მასალაში ითქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ აგვისტოს ომით დაზარალებულ მოსახლეობას „კაბალურ“ ხელშეკრულებას სთავაზობს და სახელმწიფოს წინააღმდეგ მათი საქმეები სტრასბურგის ევროსასამართლოში შეაქვს.

სიუჟეტში გადმოცემული ინფორმაციით, სოფელ ერგნეთში ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის იმ ნაწილმა, ვინც ორგანიზაციასთან კონტრაქტი გააფორმა, არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ, კონტრაქტის პირობებით, ევროსასამართლოში გაგზავნილ საქმეზე უარის თქმის შემთხვევაში, 100 000 ევრო ექნებოდათ გადასახდელი.

ადვოკატ ლია მუხამაზარიას თქმით კი, მისი ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად არიან დაინტერესებულები, რომ

კლიენტებს კონტრაქტის პირობები საფუძვლიანად გააცნონ, რომ მათ კარგად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რაც ევროსასამართლოში საქმის გაგზავნას ახლავს.

გარდა ამისა, არც ერთ იმ რესპონდენტთან, რომელმაც ინტერვიუ მისცა საზოგადოებრივ მაუწყებელს, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. „სიუჟეტში ნაჩვენები ქალაქი, რომლის გამოც ბრალი დაგდეს, თითქოს ადამიანებს ვატყუებთ, იყო არა კონტრაქტი, არამედ კონტრაქტის პროექტი. ჩვენ ის წინასწარ დავაირიგეთ, რომ ერგნეთელები კარგად გაცნობოდნენ პირობებს. სიუჟეტში ითქვა, თითქოს ვილატას ისე მოვანერინეთ ხელი დოკუმენტზე, რომ არ იცოდნენ, ხელს რას აწერდნენ. ეს სიცრუეა“, – ამბობს ლია მუხამაზარია.

მიუხედავად იმისა, რომ მან მაუწყებელთან ინტერვიუში იგივე განაცხადა, სიუჟეტში მხოლოდ ის ნაწილი გავიდა,

სადაც მუხაშავრია ჟურნალისტს ეკითხება, თუ საიდან მოიპოვა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც კონფიდენციალური დოკუმენტია.

ჟურნალისტმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ორგანიზაციას ეს და კიდევ ათობით სარჩელი შეაქვს სტრასბურგის სასამართლოში ხელისუფლების წინააღმდეგ. ამჟამად დროს არავის განუმარტავს, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დარღვევისთვის მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა ჩვეულებრივი პრაქტიკაა და არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

მუხაშავრიას მიაჩნია, რომ ორგანიზაციის კონტრაქტით განსაზღვრული ჯარიმის თანხის ოდენობა დადგენილია პრევენციის მიზნით; რადგან არსებობს საშიშროება, ადამიანებს გარიგება შესთავაზონ, ან დაემუქრონ, რის გამოც, მათ შეიძლება უარი თქვან ისეთ საქმეზე, რომლის განხილვა ზოგჯერ წლების განმავლობაში გრძელდება.

ამის მაგალითად მუხაშავრია პოლიტპატიმარ გურამ აბსანაძის საქმეს ასახელებს, რაც ევროსასამართლოში

რისო სასამართლოში მოპასუხის სტატუსით ყოფნას, სახლშივე მოაგვაროს პრობლემა. უფლებათა დამცველების ინტერესი კი, კონკრეტული ადამიანის უფლების დაცვასთან ერთად, პრეცედენტის შექმნაა. დამნაშავეს დასჯა ქმნის იმის პირობას, რომ მსგავსი დარღვევა აღარ განმეორდება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასული სიუჟეტიდან 2 დღის შემდეგ, 12 დეკემბერს, „რუსთავი 2“-ზე, გადაცემა P.S-ის ერთ-ერთი რეპორტაჟიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სარჩელს მიეძღვნა.

ჟურნალისტის ინფორმაციით, „საიამ“ აგვისტოს ომის დროს დაკავებული ოსი „კრიმინალების“ გასათავისუფლებლად საქართველოს სახელმწიფოს სტრასბურგში უჩივლა და ის შეთანხმება ჩაშალა, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს „კრიმინალები“ ოსეთში დაკავებულ მოზარდებში უნდა გაეცვალა.

„საიას“ დირექტორის, თამარ ხიდაშელის თქმით, კრიმინალებად მოხსენიებული ოსი ეროვნების 3 ადამიანი საქართველოს მოქალაქეა და ისინი არა

როდესაც ევროპის სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს გამოუგზავნა შეკითხვები გაუჩინარებული ოსების ადგილსამყოფელის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფომ მხოლოდ მას შემდეგ აღიარა, რომ ისინი კონტროლის ქვეშ ჰყავდა და მხოლოდ ის მიუთითა, რომ ამ ადამიანების ცხინვალის რეჟიმისთვის გადაცემის საკითხს ვერ უზრუნველყოფდა. „ასევე ითქვა, რომ ეს ადამიანები არ იმყოფებიან სადმე პენიტენციურ სისტემაში ან პოლიციის განყოფილებაში, არამედ კერძო სახლში, უბრალოდ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ“, – ამბობს ხიდაშელი.

სიუჟეტში ასევე არ დასმულა არც ერთი შეკითხვა ოსების უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით – თუ რატომ დააკავეს ეს ადამიანები სასამართლოს ნებართვის გარეშე, ან კანონიერია თუ არა გაცვლის პროცესი.

„მთავარი პრობლემა ისაა, რომ ტელევიზიამ ამ შემთხვევაში გამოხატა სახელმწიფოს პოზიცია. იმის გამო, რომ იუსტიციის და შს სამინისტროები კომენტარს ვერ გააკეთებდნენ, რად-

■ სახელმწიფოს ურჩევნია, საერთაშორისო სასამართლოში მოპასუხის სტატუსით ყოფნას, სახლშივე მოაგვაროს პრობლემა. უფლებათა დამცველების ინტერესი კი, კონკრეტული ადამიანის უფლების დაცვასთან ერთად, პრეცედენტის შექმნაა. დამნაშავეს დასჯა ქმნის იმის პირობას, რომ მსგავსი დარღვევა აღარ განმეორდება.

საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის პირველი პრეცედენტი იყო. აბსანაძის უარის გამო, საქმე 4-წლიანი მუშაობის შემდეგ ჩაიშალა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტში ადვოკატთა ასოციაციის წევრმა მიშა სარჯველაძემ ხელშეკრულების ასეთ პირობას „კაბალური“ უწოდა. „ლიბერალთან“ ინტერვიუში სარჯველაძემ განაცხადა, რომ ორგანიზაციას არაკეთილსინდისიერ საქმიანობას არ აბრალებს, მაგრამ კონტრაქტში გადაჭარბებულად დიდი თანხა, 100 000 ევრო, მოსარჩელეს არათანაბარ პირობებში აყენებს. მისთვის ასევე მიუღებელია ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც მთავრობასთან მორიგების საშუალებას გამორიცხავს. მისი აზრით, მომჩივანს უფლება უნდა ჰქონდეს, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, სარჩელზე უარი განაცხადოს.

სახელმწიფოს ურჩევნია, საერთაშო-

აგვისტოს ომის დროს, არამედ რამდენიმე თვის შემდეგ – იარაღის უკანონო შენახვისთვის, ერთი მათგანი კი პოლიციელის მძევლად აყვანისთვის დააკავეს.

„სამწუხაროა, რომ ამ სიუჟეტში ეთნიკურად ოს საქართველოს მოქალაქეებს ჟურნალისტი ხშირად და ხაზგასმით კრიმინალებად მოიხსენიებს“, – ამბობს თამარ ხიდაშელი.

სასამართლომ ისინი საპროცესო გარიგების შედეგად გაათავისუფლა, თუმცა ამის შემდეგ მათი კვალი გაქრა. „საიამ“ მათი ადგილსამყოფელის შესახებ შეკითხვით მიმართა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ამის შემდეგ ორგანიზაციამ სტრასბურგში საქართველოს წინააღმდეგ მათი საქმეები დაახლოებით ოთხსამდე იმ საქმესთან ერთად გააგზავნა, რომლებზეც რუსეთს უნდა ეგო პასუხი

გან ამ შემთხვევაში, მათ უნდა ელიარეზინათ ადამიანების უკანონოდ დაკავების ფაქტი, რაც მართლა სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ ხელისუფლების პოზიცია მედიის მეშვეობით გაჟღერდა“, – ამბობს „საიას“ ხელმძღვანელი.

სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ „საიამ“ ტელევიზიის თვითრეგულირების კომისიას მიმართა თხოვნით, რომ იმავე გადაცემაში (P.S.-ში) საკუთარი არგუმენტების წარსადგენად მათთვის იმდენივე დრო დაეთმოთ, რაც ამ სიუჟეტს დასჭირდა. „რუსთავი 2“-მა „საიას“ დღის საინფორმაციო გამოშვებაში 90 წამი შესთავაზა განაცხადების გასაკეთებლად. „საიამ“, არათანაბარი პირობების გამო, ამაზე უარი განაცხადა. თუმცა ეს შეთავაზება იმის დასტურია, რომ ტელევიზიამ ნაწილობრივ აღიარა თავისი შეცდომა. □

8 წლის თათიას 2009 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ არაფერი სმენია. სკოლაში უთხრეს, რომ რუსეთი აგრესორია. თათიამ ეს იდეა ფერადი ფანქრებით ნახატად აქცია. მის სურათზე საქართველო – მტრედი, რუსეთი კი პირდაპირი დათვია.

8 წლის თორნიკე აგვისტოს ომზე უფროსივით მსჯელობს, იცის ადგილები, რომლებიც დაიბომბა, რამდენი ადამიანი დაიღუპა, ვინ და როდის ჩამოყარა ჭურვები. საინფორმაციო გამოშვებებს თითქმის ყოველდღე უყურებს და პრეზიდენტობაზეც ოცნებობს. „რუსეთი ძალიან ცუდი ქვეყანაა, რუსი ხალხიც ცუდია!“ – ამბობს იგი და უჯრედთან ქალაქებზე ხატავს რუს ჯარისკაცებს, ბომბდამშენებსა და როკის გვირგვინებს.

თათია და თორნიკე თბილისის 54-ე სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები არიან. მათ სურათები სპეციალური კონკურსისთვის დახატეს. „ჩემი თვალთ დანახული რუსეთის აგრესია“ – ამ სათაურის ქვეშ სულ ორმოცდაათამდე ნამუშევარი გაერთიანდა. მეშვიდე კლასამდე მოსწავლეების ნახატები სკოლის დერეფანში კედლებზე გამოფინეს. უფროსკლასელებს კი ესეების დანერგა დაავალეს.

მასწავლებლების უმეტესობას ამ კონკურსის იდეა ან გულწრფელად მოსწონს ან კრიტიკული შენიშვნების საჯაროდ გამოთქმას ერიდება. „ბავშვები მამულიშვილებად უნდა გავზარდოთ, რუსეთი აგრესორია და ეს მათაც უნდა იცოდნენ“, – აცხადებს 54-ე სკოლის დირექტორი ცისო წერეთელი.

განათლების მინისტრის მოადგილე აკაკი სეფერთელაძე ამბობს, რომ მოსწავლეებს შორის შეჯიბრი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის მიზნით ტარდება.

საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც სკოლაში ნებისმიერი სახის პროპაგანდას ეწინააღმდეგება, მიიჩნევს, რომ კონკურსის შემოქმედებითი მხარე მასწავლებლებისთვის მოფიქრებული „შპარგალკაა“, ხოლო მიზანი პატრიოტულ-მილიტარისტული განწყობის გაძლიერება.

სტრატეგია, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ აირჩია, ამ ადამიანებს საბჭოთა კავშირის დროინდელ სკოლებს ახსენებს. მაშინ კონკრეტული საგამოცდო თუ საკონკურსო თემის შინაარსს სწორედ იდეოლოგიზირებული პოლიტიკა განსაზღვრავდა და არა – თვითონ სკოლა. ხელისუფლება დღეს მსგავს, ოღონდ თანამედროვე მეთოდებს იყენებს.



ფოტო თორნიკე აგვისტოს



## საზოგადოება

# როგორ იხატება მტერი

სახელმწიფო სკოლებში პროპაგანდით მტრის ხატის ჩამოყალიბებას ცდილობს.

### ეკა ქიტანავა

ბს. ფსიქოლოგების აზრით, ასეთი სახის კონკურსები სტერეოტიპების შესაქმნელად ტარდება.

ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი იხსენებს, რომ მსგავსი მეთოდებით ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბავშვებში აგრესიის გაღვივებას. სკოლის მოსწავლეებს ასატყინებდნენ ტანკებსა და გერმანელი ხალხის სიძულვილზე ესეებს აწერიდნენ. „მახსოვს, როცა პირველად გერმანელი ვნახე, ძალიან გამიჭირდა ამ სტერეოტიპების გადალახვა და შემდეგ ნელ-ნელა მივედი იმ დასკვნამდე, რომ გერმანელიც ჩვეულებრივი ადამიანია“, – იხსენებს ჯავახიშვილი.

„სკოლაში პოლიტიკა არ უნდა შევიდეს, ბავშვს უნდა ჰქონდეს ერთი ადგილი მაინც, სადაც იგი პოლიტიკურ სივრცეში არ მოხვდება“, – აღნიშნავს სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი.

კონკურსის მონაწილე მოსწავლეები კი ამბობენ, რომ პოლიტიკა სკოლის ცხოვრებაში ბუნებრივად იჭრება და მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. ის კი, ვინც ასეთი თემებით არ ინტერესდება, უბრალოდ „ცალკე პლანეტაზე ცხოვრობს“.

„პოლიტიზირება რა შუაშია, ეს სახელმწიფო ინტერესია!“ – ამბობს პარლამენტის წევრი ხათუნა ოჩიაური. მისი თქმით, ის, ვისაც განათლების სამინისტროს ინიციატივა არ მოსწონს და არბიტრის როლს ირჩევს, ამით სახელმწიფოებრივ ინტერესებს ღალატობს.

კონფლიქტოლოგები გენოციდის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ მტრის ხატის არსებობას ასახელებენ. ამის მაგალითია რუანდა, სადაც ასი დღის განმავლობაში რვაას ათასამდე ადამიანი მოკლეს. ამ მოვლენებს კი წინ უძღოდა ტუტსის ტომის წინააღმდეგ მედიის მიერ სიძულვილის პროპაგანდა.

ჰოლოკოსტიც გერმანელების მიერ ებრაელი ერის მტრის ხატად დასახვის შედეგია.

მიუხედავად ამისა, პრავდატიკოსებს მიაჩნიათ, რომ მტრის ხატის გარეშე არ არსებობს ღირებულებათა სისტემა და იგი ნაციონალური იდენტობის აუცილებელი კომპონენტია. სოციოლოგ ემზარ ჯგერენიას თქმით, მტრის ხატი არის „საუკეთესო სოუსი ჩვენი არსებობისთვის“. სკოლა კი ამ აგრესიის გასაღვივებლად საუკეთესო ადგილია.

„რუსეთიც ქმნის საქართველოს სახით



■ ხატვის გაკვეთილი, თბილისის 54-ე სკოლა, 2010



მტრის ხატს, და როცა მეზობელი ჭადრაკს გეთამაშება, ნარდის თამაშს ვერ გაუმართავ“, – აცხადებს ჯგერენაია.

თუმცა არსებობს საპირისპირო აზრიც, რომელიც უფრო ლიბერალური ღირებულებების სისტემას ეფუძნება. ლევან გიგინეიშვილი ამერიკულ აკადემიაში ქართულ ენას ასწავლის და მტრის ხატის კონცეფციას მკაცრად ეწინააღმდეგება.

„თითქოს უნდა მოხდეს ჩვენი ხელახალი კონსტრუირება მტრის ხატის მეშვეობით. არ მგონია, ეს სწორი იყოს; გამოდის, ჩვენ რეალობაზე ზემოქმედებას ვცდილობთ, რადგან ეს სახელმწიფო შექვევთაა. ჩემთვის კი რეალობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კონიუნქტურა“, – აცხადებს გიგინეიშვილი.

ზოგიერთმა მშობელმა სწორედ იმ აგრესიის გამო, რასაც მტრის ხატის ჩამოყალიბება იწვევს, კონკურსის მიმართ პროტესტი გამოთქვა. მაგალითად, ლელა ნუცუბიძემ 8 წლის შვილს კონკურსში მონაწილეობა აუკრძალა.

„არ მინდა, ჩემ შვილს ფსიქიკა დაუმახინჯდეს, არ მინდა, სიძულვილითა და ბოღმით იზრდებოდეს, ამიტომ სკოლაში საერთოდ არ გავუშვი“, – ამბობს ნუცუბიძე.

ვინც კონკურსში მტრის ხატის ჩამოყალიბების საფრთხეს ვერ ხედავს, მიაჩნიათ, რომ ბავშვი „დამცავ კოლაში“ არ უნდა გაიზარდოს. „ამ ომის შემდეგ რაც დამინერია, ყველგან ჩანს მიღებული შოკის რეფლექსიები. ომზე უნდა ვწეროთ, ეს არ არის თვითმიზანი, ეს არის ბუნებრივი ფსიქოლოგიური მდგომარეობა“, – აღნიშნავს მწერალი ლაშა ბულა-

ძე, რომელიც თვითონ აგროვებს ომის თემატიკაზე შექმნილ პიესებს.

ბულაძის აზრით, კონკურსმა შეიძლება ნიჭიერი მწერალი გამოავლინოს, ხოლო იმის საფრთხე, რომ ბავშვები რუს ერს აგრესიასთან გააიგივებენ, პრაქტიკულად არ არსებობს.

ამ მოსაზრებას ბრმად ეთანხმება მოსწავლეთა ნაწილიც. რვა თებერვალს 54-ე სკოლაში საუკეთესო ნაწერის გამოსავლენად შეკრებილი 35-მდე მოსწავლის პასუხები ექოსავით იმეორებდა მასწავლებელთა შეგონებებს: „ჩვენ არ ვართ რუსების მიმართ აგრესიულად განწყობილები, უბრალოდ, ჩვენი სათქმელი უნდა ვთქვათ!“

თუმცა, ზოგიერთი ნაწერი მათი ნათქვამის საპირისპიროს ამტკიცებს: დარბაზში ისმოდა ფრაზები: „მებრალეობა რუსი ხალხი, რადგან მათ გულებში არასდროს აინთება ის ცეცხლი, რომელიც ქართველ კაცს ასე უწვავს გულს!“ „რუსეთი არაფერზე დაიხევს უკან, რომ გაანადგუროს ქართველი ერი“, „უნდა გავერთიანდეთ ამ მოწივების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ქართველებისგან განსხვავებით, დემოკრატიული საზოგადოება საგანმანათლებლო სფეროში პროპაგანდის შესაძლებლობასაც კი კრიტიკულად უდგება. მაგალითად, 2009 წლის სექტემბერს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკულ სკოლის მოსწავლეებს თეთრი სახლის ვებგვერდის საშუალებით მიმართა და განათლების აუცილებლობაზე ლექცია წაუკითხა.

ობამამ სკოლის მოსწავლეებს სთხოვა, დაეწერათ წერილი „როგორ შეიძლება

■ ის, ვისაც სკოლებში სახელმწიფო პროპაგანდა გამართლებულად მიაჩნია, ამტკიცებს, რომ მტრის ხატის შექმნის აუცილებლობა დღევანდელი საომარი მდგომარეობითაა განპირობებული. მაგრამ რა უნდა მოუხერხოთ მტრის ხატს იმ შემთხვევაში, თუ ის ქვეყნისთვის საჭირო აღარ იქნება?

დავეხმარო პრეზიდენტს“, და განათლების სისტემის გაუმჯობესების საკუთარი ხედვა წარმოედგინათ.

ობამას მიმართვას მწვავე კრიტიკა მოჰყვა არა მარტო რესპუბლიკელების, არამედ იმ მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდანაც, რომლებმაც სკოლაში პროპაგანდის საფრთხე დაინახეს.

პოლიტიკურ პროპაგანდას ქართულ სკოლებში წინააღმდეგობას თითქმის არ უწევს. განათლების ყოფილი მინისტრის, გია ნოდისა თქმით, ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა სკოლას, როგორც დასაყრდენსა და იარაღს საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამ მხრივ, ბევრი რამ არც 2010 წელს შეცვლილა. ■



ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

დუშეთის პოლიკლინიკა, თებერვალი 2010

ჯანდაცვა

# ახალი „100 ახალი საავადმყოფო“

რეალურია თუ არა, რომ 2 წელიწადში თანამედროვე საავადმყოფოში მკურნალობას ყველა შეძლებს?

ნინო გოგუა

ჭიშკრის კარი ძველი და ჟანგინანია. შენობის კედლებს აგურები სცვივა. ფანჯრის ჩატეხილი შუშებიდან მწყობრიდან გამოსული საოპერაციო აღჭურვილობა ჩანს.

შენობაში შესულს თვალში ჯერ პირიდან გამოსული ორთქლი გვხვდება, შემდეგ კედელზე გაკრული ძველი და გაყვითლებული სტენდები. ქვის იატაკზე ფეხები რამდენიმე წამში იყინება და ცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად შეხვიდე ექიმის კაბინეტში. აქ შეშის ლუმელი დგას და თბილა.

ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად თითიდან სისხლის ნიმუშს გიღებენ. ჭერზე ყავისფერ ლაქებს, ბა-

თქაშჩამოყრილ ადგილებს, კიდეებში დაჟანგებულ ონკანს და ნიჟარას ხედავ. თუ იმასაც მიხვდები, რომ კედელზე ჩამოფარებული ძველი ყვითელი ფარდა სინამდვილეში ჩამონგრეულ ადგილებს მალავს, ავადმყოფობა გავინყდება და ერთი სული გაქვს, რაც შეიძლება მალე დატოვო აქაურობა.

დუშეთის პოლიკლინიკა, 80 წელია, არ გარემონტებულა. გვერდით ოთხსართულიანი საავადმყოფო და სამშობიარო დგას. საოპერაციოებში ელექტროგამათობებელი დგას, პალატაში პაციენტების მიერ სახლიდან მიტანილი ქურები ანთია. „ამ პირობებში ვის უნდა ოპერაცია და მშობიარობა. ხალხი მცხეთაში,

ან თბილისში მიდის. თუ ამის საშუალება არ აქვთ, ან გადაუდებელი შემთხვევაა, ჩვენ მაშინ მოგემართავენ“.

საქართველოს ყველა რეგიონში ასეთივე მდგომარეობაა. „საავადმყოფოების სალიცენზიო პირობების შემოწმება და დასჯა რომ დაგინყოთ, უმრავლესობა დაიხურება“, – აცხადებს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე კოკა ფრუიძე.

ორ წელიწადში დუშეთის პოლიკლინიკა, სამშობიარო და საავადმყოფო ისე უნდა შეიცვალოს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას კვალიფიციური ანალიზის, გამოკვლევის, მკურნალობის და უსაფრთხო მშობიარობის შესაძლებლობა გაუჩნ-

დეს. ნახევრად დანგრეული უზარმაზარი შენობების ნაცვლად, 20-25-სანოლიანი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტაციონარი უნდა აშენდეს.

თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი საავადმყოფოების აშენების პასუხისმგებლობას კერძო სადაზღვევო სექტორი საკუთარ თავზე აიღებს.

მთავრობამ სადაზღვევო კომპანიებს „100 ახალი საავადმყოფო“ პროექტ-

უნდა განაცხადონ, ვინ სად და რა პირობებით ააშენებს ჰოსპიტალს.

რა დაუჯდებათ ამ პროექტების დამთავრება სადაზღვევო კომპანიებს, მათ ეს ჯერ არ დაუთვლიათ. „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ერთ-ერთია იმ კომპანიებიდან, რომელიც რეგიონებში ინვესტირებას გეგმავს. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თინა სტამბოლიშვილის თქმით, პროცესის დაწყებამდე 2 თვით ადრე

თუკი სადაზღვევო სექტორი პროექტის განხორციელების მომდევნო ეტაპზე გადავა, მას უკვე საავადმყოფოს კედლების შიგნით ელის გამონევიები. კომპანიებმა შენობების დასრულების და ხარისხიანი ტექნიკის შექმნის შემდეგ კვალიფიციური პერსონალი უნდა იპოვონ. „რეგიონებში ზოგან შეიძლება ერთ ექიმზე მეტი ვერც მონახო, ვინც პროფესიონალურად გააკეთებს საქმეს. მოგვიწევს, თბილისიდან მივიზიდოთ ხალხი და თან ადგილობრივი კადრები განვაავთაროთ ტრენინგებით“, – განმარტავს თინა სტამბოლიშვილი.

ეს გამონევიები სადაზღვევო კომპანიების ხარჯებს ზრდის და შესაძლო მოგებას ამცირებს. „ოფიციალური მონაცემებით, თანამედროვე სტანდარტის ჰოსპიტალის ერთი სანოლის უზრუნველსაყოფად 15-45 ათასამდე ამერიკული დოლარია საჭირო. ასეთი ძვირად ღირებული მომსახურების საფასურს რეგიონის მოსახლეობა ვერ გადაიხდის“, – განმარტავს ჯანდაცვის ექსპერტი თინათინ ტურძილაძე. მისი თქმით, თუ კომპანიები საავადმყოფოს ხარჯების დაფარვას სადაზღვევო ბიზნესიდან დაიწყებენ, მზარდი, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა სადაზღვევო სექტორი ჩამოშლის საფრთხის წინ აღმოჩნდება.



დუშეთის საავადმყოფო, თებერვალი 2010

ში ჩართვა შესთავაზა. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ 2012 წლისთვის საქართველოში ერთდროულად თითქმის 8000 პაციენტი შეძლებს კვალიფიციურ მკურნალობას.

ახალი საავადმყოფოები სადაზღვევო კომპანიის საკუთრებაში დარჩება, იმ პირობით, რომ ჰოსპიტალი სალიცენზიო კრიტერიუმებს არ დარღვევს და რეგიონის მოსახლეობას მომსახურების მაღალ ტარიფებს არ დაუნესებს.

ეს წინადადება სადაზღვევო სექტორისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა. კომპანიას ჰოსპიტალური სექტორიდან დამატებითი ფინანსური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ეძლევა – დაზოგავს სადაზღვევო ხარჯების ნაწილს, რასაც ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურებისთვის სხვა საავადმყოფოს უხდის. ამასთან, რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისი სადაზღვევო კომპანიის კლიენტი გახდება.

პროექტში ჩართვამდე კონკურენტი 10-მდე სადაზღვევო, უკვე ერთი თვეა, მოლაპარაკებებს აწარმოებს. კომპანიებმა ორი თვის შემდეგ კონკრეტულად

**„საავადმყოფოების სალიცენზიო პირობების შემოწმება და დასჯა რომ დაზინყოთ, უმრავლესობა დაიხურება“ – კოკა ფრუიძე**

კომპანიები ფინანსურ საკითხებზე არ ფიქრობენ. პროექტში მონაწილეობის მსურველებმა სამინისტროს საბანკო გარანტია უნდა წარუდგინონ, თუმცა ამ ეტაპზე არც ბანკებთან დაწყებული მოლაპარაკებები.

არასწორად დათვლილი ფინანსები და რისკები ერთხელ უკვე გახდა „100 ახალი საავადმყოფო“ პროექტის გაყინვის მიზეზი. 2007 წელს საავადმყოფოების აშენება საკუთარ თავზე აიღეს სამშენებლო კომპანიებმა. მათ ამ პროექტის დასასრულებლად საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ და მალევე გამოეთიშნენ პროცესს. აგვისტოს ომის და ფინანსური კრიზისის ფონზე, რეგიონებში პატარა საავადმყოფოებში ფულის დაბანდება აღარც უცხოელ ინვესტორებს უფიქრიათ.

მოქალაქეების ინტერესების შელახვის საფრთხეს შეიცავს პროექტის მონაწილე სადაზღვევო კომპანიებს შორის მოლაპარაკებაც. „თუ კერძო კომპანიები მკურნალობის ერთნაირ სტანდარტებს და ფასებს დაადგენენ, ეს იქნება გარიგება. შეიძლება სანყის ეტაპზე მომსახურების საფასური დაბალი იყოს, მაგრამ ბაზარზე გავლენის მოპოვების შემდეგ კომპანიები შეთანხმებულად აწვევენ ფასს“.

დუშელებს ყველაზე მეტად იაფი მკურნალობა უნდათ. სახელმწიფო და სადაზღვევო კომპანიები კი მათ, ხელმისაწვდომ მკურნალობასთან ერთად, სულ რაღაც ორ წელიწადში მომსახურების მაღალ სტანდარტებს და კომფორტულ გარემოსაც ჰპირდებიან.

ეს რომ მართლაც ასე მოხდეს, საქართველო უკვე ხვალ ჰოსპიტალურ სამოთხედ უნდა იქცეს. თუმცა, ეჭვს სწორედ ეს იდეალური სურათი იწვევს – თითქმის დანგრეულ სექტორში ამხელა მოგების შესაძლებლობა თუ იყო, სადაზღვევო კომპანიებმა რატომ თავად არ წამოიწყეს რეგიონებში საავადმყოფოების შენება, პრეზიდენტის მითითების გარეშე? **■**



ფოტო: თინათინ ბარჩხვაძე

სიახლეები ჯანდაცვის სფეროში

# ერთი ნახიჯი ხელმისაწვდომი ჯანდაცვისკენ

სიახლეები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სადაზღვევო პაკეტში იმის მანიშნებელია, რომ ჯანდაცვის სექტორში სისტემური ცვლილებები იწყება.

### თამარ ბაბუაძე

სამი თვის წინ სოციალურმა მუშაკმა კარინე ხითარიაძის სიღარიბე 48 ათასი ქულით შეაფასა. ეს ქულა იმას ნიშნავს, რომ მარტოხელა ქალბატონს, რომელიც ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს და სახლიდან

ნივთების გაყიდვით ირჩენს თავს, ამიერიდან წამლების შექენაში სახელმწიფო დაეხმარება. კარინეს ყოველთვიურად მხოლოდ ოცი ლარის „დიაბეტონი“ სჭირდება. ახლა ამ ოცი ლარიდან ათს, მის ნაცვლად, სახელმწიფო გადაიხდის. ხი-

თარიაძის ჯიბეს ეს შეღავათი ხუთი თვის განმავლობაში დაეტყობა, რადგან მედიკამენტების 50-პროცენტიანი თანადაფინანსების სქემაში სახელმწიფო ყოველ დაზღვეულზე ერთი წლის განმავლობაში 50-ლარიან ლიმიტს აწესებს.



„ეს კარგია, მაგრამ მე ვერაფერს მიშველის. „დიაბეტონი“ მუდმივად უნდა მივიღო. ხუთი თვის შემდეგ, როცა თანადაფინანსება შეწყდება, რა უნდა ვქნა?“ – ამბობს კარინე ხითარაიანი.

ეს თანხა რომ მწირია, ჯანდაცვის სამინისტროშიც იციან, მაგრამ სახელმწიფოს ამ დროისთვის მხოლოდ ამდენის შეთავაზება შეუძლია. კონკრეტული მონაცემები არ არსებობს, უმწეოთა პროგრამაში ჩარიცხული 55 ათასი ოჯახიდან ვის რა ფასიანი წამლები რა ხანგრძლივობით სჭირდება, ამიტომ სხვაგვარი სქემის მოფიქრება შეუძლებელი იყო.

საერთაშორისო ფონდის „კურაციოს“ ხელმძღვანელი გიორგი გოცაძე ფიქრო-

ბს, რომ მსგავსი მონაცემების მოპოვებას ხელს შეუწყობს სარეცეპტო სქემის შემოღება. ამ სქემის დამკვიდრებას კი სოციალურად დაუცველი ადამიანების ახალი სადაზღვევო პირობებიც ითვალისწინებს. ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ წამლების 50 პროცენტს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აუნაზღაურებენ, თუკი მედიკამენტი პაციენტს ექიმმა გამოუწერა.

თუმცა, როცა საქმე ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტზე მიდგება, ახალი პრობლემა ჩნდება. იმის გამო, რომ ექიმები ხშირ შემთხვევაში ფარმაცევტულ კომპანიებთან არიან გარიგებულნი, პაციენტებს წამლებს ფარმაცევტული კომ-

პანიების ინტერესის გათვალისწინებით უწერენ და ძალაუფლებურად მონაწილეობენ ფარმაცევტულ ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებაში. ჯანდაცვის სამინისტრო უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ინიციატივით აპირებს ამ გარიგებებთან დაპირისპირებას. სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი სოფო ლებანიძე კი მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარებას ხელს უკვე ისიც შეუწყობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ გენერიკული სახელწოდებების მედიკამენტებს დაუფინანსებს მოსახლეობას და არა წამლებს – კონკრეტული ბრენდის მიხედვით.

ჯანდაცვის ექსპერტების აზრით, ეს წინაპირობა პოზიტიური სიახლეა, თუმცა ამ სექტორში მდგომარეობის ბოლომდე გაჯანსაღებისთვის – მაინც არასაკმარისი. „ის, რომ დანიშნულება მოხდება გენერიკული სახელწოდებებით და ეს გამორიცხავს ექიმთა კომერციალიზაციას, გამოსავალი არ არის, იმიტომ რომ წამლების გენერიკებისა და არა ბრენდების მიხედვით დანიშნა ექიმებისთვის დღესაც სავალდებულო ნორმაა, მაგრამ მაინც არ სრულდება; პირიქით, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება, რამდენადაც გენერიკული დანიშნულებით მისული პაციენტი უკვე აფთიაქის გავლენის ქვეშ ექცევა, სადაც საკუთარი წამლების გასაღებაა პრიორიტეტული“, – ამბობს ჯანდაცვის ექსპერტი თინა ტურძილაძე.

ჯანდაცვის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმწეოთა პროგრამაში ჩართული ადამიანებისთვის მედიკამენტები უფრო ხელმისაწვდომი რომ გახდეს და ფარმაცევტულ ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენცია მოისპოს, დამატებითი მექანიზმების ამოქმედებაა საჭირო. პირველ რიგში კი, უნდა დარეგულირდეს მედიკამენტებზე მონოპოლისტური ფასები. გაბერილ ფასსადაც დროთა განმავლობაში ნაწილობრივ მაინც შეამცირებს საქართველოსა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული მედიკამენტების შემოტანის ექსკლუზიური უფლება გაუქმდა და ბაზარზე მალე გაჩნდება ერთი და იგივე დასახელების წამლის რამდენიმე შემომტანი.


ეს რამდენიმე სიახლე მკაცრ მონიტორინგს, დამატებით ბერკეტებსა და თანმიმდევრულობას საჭიროებს იმისთვის, რომ ჯანდაცვა მხოლოდ ქალაქზე დეკლარირებულ პრიორიტეტად კი არ დარჩეს, არამედ რეალურად გახდეს ხარისხიანიც და ხელმისაწვდომიც, თუნდაც – კარინე ხითარაიანისთვის. **□**

ადამიანის უფლებები

# აუზი – შეზღუდული შესაძლებლობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს თბილისის აუზებზე ან საერთოდ არ შეუშვებენ, ან ისეთ დროს – როცა იქ ხალხი თითქმის არ არის.

მარია ქოჩიაშვილი



■ აუზი „სკას“ სპორტულ კომპლექსში, თებერვალი 2010

ფოტო: მარია ქოჩიაშვილი

ლევანს სიარული უჭირს, წყალში კი თევზით არის. ბეჭა ცალ ხელს საერთოდ ვერ ამოძრავებს, მაგრამ უკვე ტივიტას გარეშე ცურავს.

წყალი და უნონადობის მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს იოლად მოძრაობის საშუალებას აძლევს. ცურვა მათთვის საუკეთესო ვარჯიშია.

„სკა“ საკმაოდ დიდი აუზია. ცოტა ბნელა და რამდენიმე ადგილას ჭერიდან წყალი ნვეთავს. აუზის გარშემო რკინეები დაფანგულია. შედარებით ძველი და ნაკლებად პრესტიჟული აუზია, თუმცა კლიენტები საკმაოდ ბევრი ჰყავთ და ჯერჯერობით ინვალიდობის მქონე ბავშვების შემყურე აქედან არავინ „გაქცეულა“.

უკვე 10 წელია, რაც „სკაზე“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშ-

ვები დაჰყავთ. აუზმა 3 ხელმძღვანელი გამოიცვალა, თუმცა ამ ბავშვებისთვის პრობლემა არც ერთს არ შეუქმნია. „თავიდან, მართალია, ხალხი წყლიდან არ ამოდიოდა, მაგრამ ეცოდებოდათ ბავშვები და მჭირდებოდა ახსნა, ვინ არიან და რატომ არიან აქ“, – ამბობს ბელა, ცურვის ინსტრუქტორი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს პირველივე დღიდან ავარჯიშებს.

„ლიბერალმა“ და „პირველმა ნაბიჯმა“ (ფონდი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ზრუნავს) ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს. საინტერესო იყო, რა პასუხს გაგვცემდნენ პრესტიჟული და შედარებით ნაკლებად პრესტიჟული აუზების მესტრონეები, კითხვაზე – შეუშვებენ თუ არა ინვალიდობის მქონე პატარებს თავიანთ აუზზე. გაირკვა, რომ ან საერთოდ არ შეუშვებენ,

ან ძალიან ადრე დილით, როცა მათ ვერავინ დაინახავს.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის დრო არ არის!“ – დამფრთხალმა უპასუხა „პირველი ნაბიჯის“ სოციალურ მუშაკს დიღმის აუზის დირექტორის მოადგილემ.

რამდენიმე ხნის წინ, როდესაც ამ აუზზე მშობლებმა თავინთი ბავშვების გვერდით წყალში ინვალიდობის მქონე პატარებიც დაინახეს, შვილები აუზიდან სასწრაფოდ ამოიყვანეს.

ამ უსიამოვნო ამბის მოყოლის შემდეგ დიღმის აუზის დირექტორის მოადგილე საბოლოოდ დათანხმდა ბავშვების მიღებას, ოღონდ ერთი პირობით: „დიღმის საათებში შესაძლებელი იქნება – გადავკეტავთ იმ დროს აუზს, არავის არ აფუშვებთ“.

აუზი არენდით აქვს აღებული და კლიენტების დაკარგვის ეშიანია.

ვაკის იდეალურად სუფთა აუზის ფოიეში ნესტის სუნი არ დგას. ვიტრავს მიღმა დიდი, მიმზიდველი, ლივლივა წყალი მოჩანს. ყვითელ, წითელ და ლურჯსამკლავიანი გოგონები და ბიჭები წყალში ჭყუმპალაობენ. ვიტრაჟიდან ძვირფასი ტრენაჟორებიც მოჩანს. ეს ყველაზე პრესტიჟულ აუზად ითვლება თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ძვირი ღირს, საკმაოდ ბევრი კლიენტი ჰყავს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიღებაზე აქ კატეგორიული უარი თქვას.

„ვერ მივიღებთ. ჯერ ერთი, აქ მოსულ ყველა ადამიანს ცნობა უნდა ჰქონდეს, რომ არის პრაქტიკულად ჯანმრთელი. მათ კი ეს ცნობა ვერ ექნებათ. შესაბამისად, გამორიცხულია; თანაც, აქ თავისუფალი შესვლაა და ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ, რომ რამე არ მოხდება“. სოციალურმა მუშაკმა ბავშვებზე პასუხისმგებელი პირების დასწრე-ბაც შესთავაზა. „სხვა ინსტრუქტორებს როგორ შემოვუშვებ, თუ ისინი ჩემთან არ მუშაობენ?!“ – უპასუხა გაოგნებული სახით მენეჯერმა.

პოლიკლინიკებში ჯანმრთელობის ცნობას კეთილსინდისიერადაც რომ იძლეოდნენ, მენეჯერმა, ეტყობა, არ იცის, ან არ უნდა, რომ იცოდეს – შესაძლებლობების შეზღუდვა არც ქლამიღია და არც სოკოვანი დაავადება, რომელიც სხვა ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. ეს სოციალური დაბრკოლებების არსებობაა, რომელიც ამ ადამიანებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ექმნებათ, მათ შორის, ვაკის აუზის შესასვლელის კიბეებზეც, სადაც პანდუსი არ არის და ეტლით ასვლა შეუძლებელია.

დაბრკოლებები „ლაგუნა ვერეს“ შენობაშიცაა. შესასვლელთან ბარიერები არ არის, მაგრამ აუზამდე მისასვლელად კიბეებია გასავლელი. ეტლით მოსიარულე ადამიანებისთვის საშხაპეებში შესვლაც და გარეთ, აუზამდე გასვლაც რთულია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხსენებაზე ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელები გაასავსავა და უარით გვისტუმრებდა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება დირექტორს მიანდო. დირექტორი კი ნაკლებად კატეგორიული იყო, თუმცა მასაც, ისევე როგორც აუზის სხვა მფლობელებს, ურჩევნია, ისეთი დრო შეარჩიოს, როცა აუზი ცარიელია.

„ლაგუნა ვერეს“ დირექტორი იხსენებს, როგორი ჩოჩქოლი ატყდა ერთხელ, როცა აუზზე კაცი შევიდა, რომელსაც ცალი ფეხი არ ჰქონდა. „ჩემი კლიენტები აქ დასასვენებლად მოდიან და ასეთი

ბავშვები რომ შემოვიყვანოთ, დაიზაფრებიან. ჩვენი საზოგადოება ჯერ ამისთვის მზად არ არის“.

ვაკის აუზზე არანაკლებ პრეტიჟულ და მიმზიდველ „ნეტუნში“ დირექტორი არ დაგვხვდა. ადმინისტრაციამ კი აუზზე გასასვლელი კიბე დაგვანახა, რის გამოც, იქ ეტლიში მსხდომი ადამიანების შესვლა შეუძლებლად მიიჩნია.

„დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება ... შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობრივი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ... მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს“, – წერია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში.

კანონის დარღვევის შემთხვევაში, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისმა უწყე-

ნელზე მეტია, ძალაშია, ჯარიმას არც ერთი კერძო და სახელმწიფო პირი არ იხდის. მარტივი მიზეზის გამო, ჯანდაცვის სამინისტროში ასეთი განყოფილება არ არსებობს.

2006 წლიდან მოყოლებული ომბუდსმენის ყველა ანგარიშში არის რეკომენდაციები, რომ განისაზღვროს ის ორგანო, რომელსაც ექნება ჯარიმის ოქმის შედგენის კომპეტენცია, თუმცა, დღემდე არაფერი შეცვლილა.

ჯანდაცვის სამინისტროში ისეთი განყოფილება რომც გაიხსნას, რომელიც „კანონის დამრღვევებს“ დააჯარიმებს, ზოგიერთი ისევე კანონის დარღვევას და ჯარიმის გადახდას ამჯობინებს. ბიზნესმენისთვის 800 ლარის გადახდა უფრო იოლია, ვიდრე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ამჟამად სახელმწიფო აფინანსებს ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზის რეკონსტრუქციას. აქ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები მოემზადება. სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურ-



■ აუზი „სკას“ სპორტულ კომპლექსში, თებერვალი 2010

**■ შესაძლებლობების შეზღუდვა არც ქლამიღია და არც სოკოვანი დაავადება, რომელიც სხვა ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. ეს სოციალური დაბრკოლებების არსებობაა, რომელიც ამ ადამიანებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ექმნებათ.**

ბამ უნდა შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი და პასუხისმგებელი პირი დაახლოებით 800 ლარით დააჯარიმოს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი 10

რის ხელმძღვანელი გიორგი ჭანიშვილი აცხადებს: „არ ვიცი, არის თუ არა ამ აუზზე გათვალისწინებული პანდუსების დამონტაჟება, ამაზე საუბარი არ ყოფილა“. ეს პასუხი გვაფიქრებინებს, რომ პანდუსები პროექტში არ უნდა იყოს.

ვიდრე შენობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდება, აუზები კი ადაპტირებული, „პირველი ნაბიჯის“ ბავშვები ისევე ნესტიან „სკაზე“ იცურავენ.

„ლიბერალმა“ და „პირველმა ნაბიჯმა“ 6 საცურაო კომპლექსს მიაკითხეს. მათგან ინვალიდობის მქონე ბავშვების მიღებაზე დაუფიქრებლად მხოლოდ ერთადერთი აუზის ხელმძღვანელობა დაგვთანხმდა. პატარა და ძველი აუზი ყაზბეგის გამზირზე მზადაა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მიიღოს. **■**



თამბაქოს მოხმარება საქართველოში

## მწველები და არამწველები მენარმეებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ

საქართველოში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანი იწყებს მოწევას. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს – იაფი თამბაქო და დავინწყებული კანონები.

### რუსუდან ფანოზიშვილი

დოლიძის ქუჩის კუთხეში, ერთ-ერთ ჯი-ზურზე ვაკრულ პლაკატზე წერია: „18 წლამდე ახალგაზრდებზე სიგარეტს არ ვყიდით“. თუმცა გამყიდველი არ მალავს, რომ ჯიზურში გამოკრულ წესს არღვევს: „როგორ უნდა გავიგო, 18 წელს ქვემოთ არის თუ ზემოთ, პასპორტს ხომ არ მოვთხოვ?“ – ამბობს ლალი. ჯიზურს ერთი მხრიდან სკოლა ესაზღვრება, მეორედან – უნივერსიტეტი.

კანონი თამბაქოს შესახებ სკოლის მოსწავლეებისათვის თამბაქოს მიყიდვას კრძალავს, მაგრამ იგივე კანონი თამბაქოს კონტროლის ზოგიერთი წესის დამრღვევს არ სჯის. ლიბერალური კანონმდებლობის და ჯერ მხოლოდ დეკლარირებული აკრძალვების ფონზე, თამბაქო საქართველოში ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი პროდუქტია. სხვა ქვეყნები ძირითადად მოწვეის სანინალმდეგო პროპაგანდას ეწევიან და იშვიათად მწველების უფლებებიც ასხენდებთ. საქართველოში კი კანონები არც ერთის და არც მეორის ინტერესებს არ იცავს, ყველაზე მეტად – თამბა-

ქოს მწარმოებლების.

საქართველოში თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებებით წელიწადში დაახლოებით 11 000 ადამიანი კვდება. ეს ზოგადად სიკვდილიანობის მაჩვენებლის 25 პროცენტია. მწველების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ბოლო წლების განმავლობაში კი მწველებს შორის განსაკუთრებით სწრაფად 25 წლამდე ახალგაზრდა გოგონების რაოდენობა გაიზარდა. ხოლო ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, სკოლებში მოწევას 9 წლის ასაკიდანაც კი იწყებენ.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 36% მწველია. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული კამპანიის შემდეგ მწველების და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების რაოდენობა სწრაფად მცირდება. საქართველოში თავშეყრის ადგილებში, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში მკაცრი შეზღუდვები რომ დაწესდეს, „ცვლილებებს უკვე 7-8 წელიწად-

ში დავინახავთ“, – აღნიშნავს თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე.

„სასაცილოა, როცა 21-ე საუკუნეში კიდეც იმაზე კამათობენ, უნდა აიკრძალოს თუ არა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევა“, – ამბობს დაავადებათა კონტროლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი კახა ლვინიანიძე.

ამჟამად მოქმედი კანონი რესტორნებს და საჯარო დაწესებულებებს შეზღუდვებისკენ მიუთითებს. დაწესებულებებში მოწევა 10-დან 200 ლარამდე ჯარიმდება. რესტორნებსა და კაფე-ბარებს კი კანონი მხოლოდ იმას სთხოვს, დარბაზში მწველებისა და არამწველებისთვის ცალ-ცალკე ადგილები გამოყოფონ.

თუმცა, თბილისის ბევრ რესტორანსა და კაფე-ბარში მწველებსაც და არამწველებსაც სიგარეტის კვამლში გახვეულებს უწევთ სადილობა. კვამლით არის გაჟღერებული კაფე „რუსთაველიც“, სადაც მწველების არამწვე-

ველებიდან განცალკევებას კაფეს მენეჯერი ვერჯერობით არ აპირებს. თუმცა, ქალბატონი იმასაც აღნიშნავს, რომ თუ ყველა სხვა რესტორანი წესებს შეცვლის, შეზღუდვებს უპირობოდ მიიღებს; სხვაგვარად კი, მომხმარებლების დაკარგვის ემინია.

თამბაქოს შესახებ კანონში დაჯარიმებისა და ნაწილობრივი აკრძალვების შესახებ ცვლილებები ორი წლის წინ შევიდა, თუმცა მათი მხოლოდ დეკლარაციულობის გამო, მათ აღსრულებას არავინ აკონტროლებს: არ არსებობს რაიმე უწყება, რომელიც წესების დარღვევის შემთხვევაში დამსჯელ ზომებს მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები მინიმალურია და სიმბოლური. თუ აქ კანონის დარღვევისთვის 10 ლარია გადასახდელი, ევროპის ქვეყნებში მსგავსი ჯარიმები 3 000 ევრომდეა.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელის გიორგი ბახტურიძის აზრით,

თამბაქოზე ფასები რომ უნდა გაიზარდოს, ამ აზრს ჯანდაცვის მინისტრიც ემხრობა. თუმცა, ალექსანდრე კვიციანი ამბობს, რომ ეს მისი უწყების კი არა, ფინანსთა სამინისტროს გადასაწყვეტია.

ფინანსთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ახლო მომავალში ფასები აღარ შეიცვლება და თანაც, ფასების რეგულირება არც მათი კომპეტენციაა: თამბაქოს კომპანიებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ.

ფასებსა და ბიზნესზე კონტროლის მოხსნა საქართველოში ლიბერალური ეკონომიკის ფარგლებში დაიწყო, დაბალი ფასების მთავარი მიზეზიც ეს არის. ამავე ეკონომიკური პოლიტიკის გამო, სიგარეტის წარმოებაც აღარ კონტროლდება. არც უკვე მზა პროდუქტის შემომწება ევალება რომელიმე უწყებას.

„ლიბერალიზაცია არ ნიშნავს ყველაფრის მოშლას, სრულ თავისუფლებას და სრულ დერეგულაციას. თავმოსაწონი კი არ არის,

კანონების გაკაცრებასთან დაკავშირებით. მაშინ, როცა არამწველებსა და მწველებს, ჯანდაცვის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთი პოზიცია აქვთ, მეორე მხარეს ერთი რგოლის ინტერესებია რჩება – მენარმეების.

საქართველოს თამბაქოს კომპანიის დირექტორი ლევან ლენეფაძე აღნიშნავს, რომ ფასების მომატება მათი წარმოებისთვის არახელსაყრელი იქნება. ფასის გაზრდა თუ სხვა სახის აკრძალვების სერიოზულად ამოქმედება სიგარეტის იმპორტიორებისა და ადგილობრივი მენარმეების ინტერესებში არ შედის – გაყიდვების შემცირებას უქმნის საფრთხეს.

ქართულ სიგარეტზე ფასები ბოლოს 2009 წლის დეკემბერში გაიზარდა უმნიშვნელოდ, თუმცა მხოლოდ ეკონომიკური და არა ჯანდაცვის ინტერესების გამო: ქართული სიგარეტების ფასი იმპორტირებული თამბაქოს

## ■ საქართველოში კანონი არც მწველების და არც არამწველების, არამედ თამბაქოს მწარმოებლების ინტერესებს იცავს.

მონევის კონტროლის კარგი საშუალებაა ლიცენზირების შეზღუდვა: წესების დარღვევისთვის, მაგალითად, ჯანდაცვით დანესებულებებს ლიცენზია ჩამოერთვათ. სხვა საჯარო დანესებულებებში კი, რადგან ამას სახელმწიფო ვერ ახერხებს, არასამთავრობო ორგანიზაციები მონევის გაკონტროლების ნებართვას ითხოვენ. თუმცა ამის შესახებ ვერ პასუხი არ მიუღიათ. ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი პარლამენტში კი განიხილება, მაგრამ ვერ მის შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე ამბობს, რომ კანონებს მონევის შესახებ ერთდროულად და რადიკალურად ვერ შეცვლიან, რადგან ეს საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. მისივე თქმით, სრული აკრძალვებისთვის ხალხი მზად არ არის. მკაცრი კანონების ამოქმედებამდე, სხვადასხვა სამთავრობო უწყებები თამბაქოს სანიტარულ დეგო საინფორმაციო პროგრამების განხორციელებას აპირებენ. თუმცა ვერჯერობით არავის აქვს პასუხი იმაზე, შეიცვლება თუ არა თამბაქოს ფასები საქართველოში. თამბაქოს დაბალი ფასი სიგარეტზე ხელმისაწვდომობის ზრდას ყველაზე მეტად უწყობს ხელს.

ფასების მკვეთრ ზრდას მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის კონვენციაც ითხოვს, რომელსაც ხელი საქართველომ ვერ კიდევ 2003 წელს მოაწერა. თუმცა, ჯერაც საქართველო რეგიონშიც და მსოფლიოშიც სიგარეტზე განსაკუთრებულად დაბალი ფასით გამოირჩევა.

თუ არაფერს არეგულირებ. ამ მხრივ, ჯანდაცვის სფეროში მძიმე შედეგები შეიძლება დადგეს“, – აცხადებს გიგი წერეთელი.

თამბაქო ერთადერთი ლეგალიზებული პროდუქტია, რომელიც ადამიანის სიკვდილს უწყობს ხელს. ამიტომაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ეკონომიკური წყობის მიუხედავად, მასზე გარკვეული ტიპის აკრძალვები და რეგულაციები მაინც მოქმედებს. ზოგან კი, მაგალითად შევიცარიაში, თამბაქოს მენარმეებსა და იმპორტიორებს სახელმწიფო ბიუჯეტში მონევის შედეგად დაავადებულთა სამკურნალოდ და მათი პრევენციისათვის მილიონობით დოლარის შეტანა ევალებათ. ტალიანდში კი ამგვარი დახმარებებისთვის სპეციალური ფონდი შექმნეს, სადაც გაყიდული სიგარეტის რამდენიმე პროცენტი ჯანდაცვაზე ზრუნვისთვის ირიცხება.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ამ მიმართულებით ერთ პროგრამას ახორციელებს: საჯარო დანესებულებების თამბაქოსგან გასათავისუფლებლად მათ თანამშრომლებს სამინისტროს წარმომადგენლები „მეთოდურ რეკომენდაციებს“ აძლევენ. „გვეუბნებიან, ჩვენ რეკომენდაციების შემდეგ სახელმწიფო აკრძალვები გვჭირდება. საზოგადოება ცალსახად ითხოვს ცვლილებებს და მანიფესტაციებით ხომ არ გუკუვლენ“, – ამბობს კახა ლვინიანიძე. თამბაქოს კონტროლის ალიანსის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, აკრძალვებს არა მარტო არამწველები, არამედ მწველების უმრავლესობაც ითხოვს.

ამ ერთიანობის ფონზე კი მით უფრო უცნაური ხდება სახელმწიფოს პასუხობა

ლირებულებას გაუთანაბრდა. ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს მატება აღსანიშნავი არ არის და ყველაზე იაფი სიგარეტის ფასი მინიმუმ 2.50 ლარი მაინც უნდა იყოს, იმისათვის, რომ მყიდველი დაფიქრდეს, უღირს თუ არა ამ თანხის გადახდა სიგარეტში.

თუმცა, მაშინ, როცა სიგარეტზე ხელმისაწვდომობის შესამცირებლად პოლიტიკური გადაწყვეტილებებია რჩება მისაღები, ჯანდაცვის სამინისტრო მსგავსი კანონპროექტების გადავადების ინიციატივებითაც კი გამოდის. ასე მოხდა გასული წლის აპრილში, როცა პარლამენტში თამბაქოს რეკლამის ლატარეებში ჩართვა უნდა განხილულიყო. არა მარტო ამ შემთხვევის გამო, გიორგი ბახტურიძე მთავრობის წევრების მენარმეებთან მოკავშირეობაზეც მიუთითებს. გამოდის, რომ საქართველოში თამბაქოს უკონტროლობას პარლამენტსა და მთავრობაში ლობისტების პოლიტიკური თუ ბიზნეს ინტერესები განაპირობებს. ხელისუფლებაში ლობირების ფაქტორს არც პარლამენტარი გიგი წერეთელი უარყოფს.

სიგარეტზე სერიოზული აკრძალვების გადავადება ხშირად არჩევენთანაა კავშირში. პოლიტიკური ძალები მწველი ამომრჩევლების ხმების დაკარგვის შიშით მათ განწყობას ერიდებიან. ჩვენთან კი არჩევნები არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. „ამიტომაც თავის ატკიება არავის სურს“, – ამბობს გიგი წერეთელი და იმედს გამოთქვამს, რომ ოდესმე, „ეს ან სხვა რომელიმე ხელისუფლება ამ კანონებს შეცვლის“. ■

გამოსათხოვარი

# ოლიმპიური ოცნება

## ეკა ქადაგიშვილი

დაბა ბაკურიანის დასახლების ცენტრში ოლიმპიელის სურათი კიდია. ამავე ოლიმპიელის სახელობის ქუჩის აღმართს შავოსანი ბაკურიანელები მიუყვებიან. მათ შორის ბევრია ახალგაზრდა. ოცდაერთი წლის ნოდარ ქუმარიტაშვილი პირველი ქართველი მოციგავეა, რომელიც სპორტის ამ სახეობას შეენირა.

12 თებერვალს ზამთრის ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, ნოდარ ქუმარიტაშვილი მსოფლიოში ყველაზე სწრაფ და რთულ ტრასაზე მეშვიდე არაოფიციალურ დაშვებას ასრულებდა. ტრასის ბოლო მოსახვევები ცივიდან გადმოვარდა, ჯებირმა არ დაიკავა, და რკინის ბოძს დაეჯახა. ამ დროს მისი ცივის სიჩქარე 150 კმ/სთ იყო.

„საავადმყოფოში ექიმები გულის ამუშავებას საათ-ნახევარი ცდილობდნენ. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე, რომ ნოდარმა თავის ქალის მძიმე დაზიანება მიიღო“, – ამბობს ფელიქს ქუმარიტაშვილი, ნოდარის ბიძა და მისი მწვრთნელი.

ქუმარიტაშვილების გვარი საქართველოში საციგაო სპორტის დამაარსებელია. ნოდარის მამა, დავით ქუმარიტაშვილიც პროფესიონალი მოციგავეა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ნოდარმა სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში 13 წლიდან დაიწყო, თუმცა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად საქართველოში ტრასებიც აღარ არსებობდა, ვარჯიში გერმანიაში, საფრანგეთსა და ავსტრიაში განაგრძო. ოლიმპიადაზე გამგზავრება-

მდე ათლეტი კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო. პირველ ოცეულში მოხვედრის იმედი ჰქონდა და ოლიმპიურ ნარმატებაზე ოცნებობდა.

„გამგზავრების დღეს ჭიშკრამდე მივაცილე, გაახსენდა, რომ ხატები დარჩა, მიბრუნდა და ჩაიღო. მევე გადამეხვია და წავიდა“, – იხსენებს ნოდარ ქუმარიტაშვილის დედა, რომელმაც შვილის გარდაცვალების დღიდან საკვება და წყალზე უარი თქვა. ბიუროკრატიული პროცედურების გამო, შვილის სხეულის ბაკურიანში ჩამოსვენებას დედა 4 დღეს ელოდებოდა.

მამა, დავით ქუმარიტაშვილი, შვილს გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ტელეფონით ესაუბრა. პროფესიონალი მოციგავე ოლიმპიადის ორგანიზატორებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს. „ამ სპორტში დავბერდი და არ მინახავს ტრასასთან ასე ახლოს რკინის ბოძი, შეფუთვისა და სქელი დამცავი ბადის გარეშე“.

მამა არ ეთანხმება ოლიმპიური კომიტეტის მოსაზრებას მისი შვილის დაღუპვის მიზეზების შესახებ. ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ ითქვა, რომ ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი გამოუცდელი სპორტსმენის შეცდომა გახდა. „ეს განცხადება მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაზე მიუთითებს“, – ამბობს დავით ქუმარიტაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ნოდარი საქმარისად კვალიფიციური მოციგავე იყო, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში და ნოემბერში ვანკუვერის ტრასაზეც ივარჯიშა.

მამა-შვილის ბოლო სატელეფონო საუბრიდან ირკვევა, რომ ნოდარს ტრასის სირთულე აუღელვებდა. „მამა, ბოლო ვირაჟში რომ შევდივარ, ისეთი გრძობა მქვს, თითქოს თავს მწყობრავს და მხედველობას ვკარგავ, მეშინიაო“; მე, როგორც პროფესიონალმა, ვურჩიე: შვილო, მაშინ ფრთხილად იყავი, სიჩქარე დააგდე-მეთქი. არა, მამა, ამ სიშორეზე ნამოვედი, და სიჩქარე როგორ დავაგდო, ამას როგორ მეუბნებიო. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლიაო“.

17 თებერვალს გამთენიისას ნოდარ ქუმარიტაშვილი საკუთარ სახლში ჩამოსვენდა. მას მთელი ბაკურიანი დახვდა.

ნოდარის მწვრთნელი ფელიქს ქუმარიტაშვილი გამოძიების შედეგს არ ელოდება და ათლეტის გარდაცვალების მიზეზებზე საუბრობს. დარწმუნებულია, რომ ასეთ მძიმე შედეგს მხოლოდ სპორტსმენის შეცდომა ან გამოუცდელი ვერ გამოიწვევდა. ტრასა რომ სახიფათო იყო, იმითაც ხსნის, რომ ცოტა ხნით ადრე სხვა სპორტსმენმა მძიმე ტრავმა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ტრასაზე სპორტსმენს დასაშვებ სიჩქარეზე მეტის, დაახლოებით 150 კმ/სთ-ის განვითარება შეეძლო, დამატებითი უსაფრთხოების ზომები მაინც არ მიიღეს. მწვრთნელი ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების ორ მიზეზს ასახელებს:

„ტრასის კედელი ძალიან დაბალი იყო, ამიტომ გადმოვარდა ნოდარი. აბა, თუ ყველაფერი კარგად იყო, მაშინ რატომ აამალღეს ის სასწრაფოდ 2 საათში? მეორე მიზეზი ის არის, რომ ნოდარის მეშვიდე დაშვებამდე, იქ, სადაც ინციდენტი მოხდა, ცოტა ხნით ადრე ფარდები დაკიდეს, ყინული რომ მზისგან დაეცვათ, მაგრამ ამის შესახებ არავინ გააფრთხილებს. მკვეთრი განათებითან გადასურულ ნაწილში შესვლისას, ნოდარმა მხედველობა დაკარგა და ცივიდან გადმოვარდა“.

დაბა ბაკურიანში ნოდარს ყველა კარგად იცნობდა. საქართველოში ყოფნისას ის მწვრთნელად მუშაობდა. ყოველი წლის 22 თებერვალს დაგეგმილი დღესასწაული – ბაკურიანობა წელს გადაიდო. მარტში შეჯიბრი გაიმართება და ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას მიეძღვნება.

ქუმარიტაშვილების სახლი 8 წლის წინ მთლიანად დაიწვა. სახლი ბოლომდე ახლაც არ არის აღდგენილი, მის ფასადზე კი გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ოლიმპიურ სოფელში გადაღებული და გადიდებული ნოდარის სურათი კიდია. სახლს ახალი მისამართი აქვს – ნოდარ ქუმარიტაშვილის ქუჩა 32. ■




ნოდარ ქუმარიტაშვილი ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, თებერვალი 2010

# უკრაინის არჩევნები და მისი მნიშვნელოვნება საქართველოსთვის

„საქართველოს ხელისუფლებისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცება“.

გიორგი ცხადაია



საქართველოში 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები პროსახელისუფლებო ჯგუფებმა ძალზედ მტკივნეულად აღიქვეს. მათი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ არჩევნებში პრორუსული კანდიდატის გამარჯვება საქართველოს წაართმევდა მოკავშირეს დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობებში.

მეორე არგუმენტი კი, უკრაინელი ხალხისთვის, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, პრორუსული ხელისუფლება გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა, ვიდრე – ერთი შეხედვით, პროდასავლური იულია ტიმოშენკო.

საქართველოს ხელისუფლების გადანყვეტილება, გაეგზავნა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში 2000-მდე დამკვირვებელი, კიდევ უფრო მეტად ადასტურებს მოსაზრებებს სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ შიშების შესახებ.

ინტერნეტ სივრცეში გაფანტულმა ხელისუფლების მომხრეების უმრავლესობამაც უკრაინის არჩევნები სწორედ ისეთ განსაკუთრებული მნიშვნელობის საფრთხედ აღიქვა, როგორც მთავრობამ.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება უკრაინის მოვლენების მსგავსი შეფასება რეალობას? რამ გააჩინა ქართულ ისტაბლიშმენტში (ხელისუფლებასა და

პროსახელისუფლებო ჯგუფებში) განგაშის სიგნალი?

უკრაინის ახლანდელი არჩევნები, 2004 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ვნებათაღელვით. უფრო ზუსტად, ეს არ იყო ქვეყნის ბედ-იღბლის გადასაწყვეტად წარმოებული მასშტაბური საზოგადოებრივი ბრძოლა, ისეთი, როგორადაც წარმოვიდგენდნენ „ნაინჯისფერი რევოლუციის“ ავტორები ხუთწლისწინანდელ პროტესტს. უფრო პირიქით, 2010 წელს ამომრჩეველს აშკარა აპათია ეტყობოდა.

უკრაინული პრესის ერთმა კომენტატორმა უკრაინული დილემა – არჩევანი ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩს შორის – შეადარა „გაუპატიურებასა და ძარცვას“ შორის არჩევანს. ყოველკვირეულმა გაზეთმა „ზერკალო ნედელიმ“ კი პოლიტიკური პერიპეტები შემდეგნაირად აღწერა: „ამ არჩევნებში მცირე როლი ეკავა იმედს, რწმენას, სიყვარულს, სიძულვილს, ერთგულებას ან ვნებათაღელვას. ამ ემოციებს ჩაენაცვლა სინანული, ინერცია, დაღლილობა, ინდიფერენტულობა და დეპრესია“.

ამ მორალური ნიჰილიზმის მიზეზი უკრაინის პოლიტიკური ელიტების უუ-

ნარობა გახდა. იუშჩენკოს მთავრობამ ვერ მოახერხა ისეთი კარდინალური რეფორმების განხორციელება, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ კლიმატს რადიკალურად შეცვლიდა; მისმა მთავრობამ ვერც უკრაინას, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დარეგულირება შეძლო, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების, თუ პირადი პოლიტიკური სისუსტის გამო.

გაზის კრიზისმა ჯერ უკრაინის საგარეო მდგომარეობა შეასუსტა, ხოლო უახლესმა ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის შიდა მდგომარეობაზეც მწვავედ იმოქმედა. ეკონომიკური და საგარეოპოლიტიკური კრიზისის პერიოდში გამწვავდა პოლიტიკური დაპირისპირებები. ამომრჩეველი კი დაიღალა მუდმივი კინკლაობით და პოლიტიკოსთა პირადი ამბიციებით. სწორედ ამ ფაქტორებით აიხსნება საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ უკრაინელების შედარებითი გულგრილობა.

უკრაინული არჩევნების მიმართ დასავლეთის პოზიციაც არ იყო ისეთი მწვავე, როგორც 2004 წელს. დემოკრატიული პროცესების შეფასების თვალსაზრისით, დასავლური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია შეიძლება დავახსიანოთ, როგორც დადები-

თი. მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩი 2005 წლის არჩევნებში მასობრივი გაყალბების ბრალდებით ჩამოაშორეს პრეზიდენტობისთვის ბრძოლას, ამჯერად არჩევნების მასობრივი გაყალბების საკითხი არ წამოჭრილა.

გამოკითხვების თანახმად, უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობას სურს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება, ამიტომ, პრორუსული იანუკოვიჩის არჩევაც არავის მიუღია დიდ სენსაციად. სინამდვილეში, ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის არც ისეთი დიდი განსხვავება იყო, რომ ამას ქვეყნის გეოპოლიტიკური პოზიცია რადიკალურად შეეცვალა.

ერთი სიტყვით, უკრაინის არჩევნები, საქართველოს გარდა, თითქმის არსად აღუქვამთ მტკივნეულ და გადაწყვეტი მოვლენად. ამის მიზეზი სააკაშვილსა და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ავტორებს შორის ახლო ურთიერთობების გარდა, ის პოლიტიკური შეხედულებებიც გახდა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება და პროსახელისუფლო ჯგუფები ხელმძღ-

ვარამედ, შეიძლება ითქვას, მომგებიან პოზიციადაც შეგვიძლია განვიხილოთ. მართალია, სოლიდური და ძლიერი ოპოზიციის არსებობა, შესაძლოა, სულაც არ გახდეს დემოკრატიული პროცესების ხელშემწყობი, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური გარიგებების როლს უკრაინის მსგავს ახალგაზრდა დემოკრატიებში, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ორივე დაპირისპირებულ ჯგუფს ჰყავს სტაბილური ამომრჩეველი.

ქვეყნის დასავლეთი და ცენტრალური რეგიონები, ტრადიციულად, პროდასავლურ კანდიდატს უჭერენ მხარს, აღმოსავლეთი და სამხრეთი რეგიონები – პრორუსულს. ამომრჩევლის ამგვარი განაწილება ხელს უშლის იმას, რომ პოლიტიკოსებს შორის დადებულ გარიგებებს გადაწყვეტი როლი ჰქონდეს.

თუმცა, აქვე იბადება კითხვა: როგორ შეიძლება „დემოკრატიაზე“ ლაპარაკი, როდესაც ვიცით, რომ უკრაინა რუსეთის გავლენის სფეროში შეიძლება მოექცეს? ეს კითხვა მხოლოდ მათ ებადებათ, ვისაც დემოკრატიაზე და საგარეო პოლიტიკაზე

ჯერ კიდევ რთულია იმისი ახსნა, რომ საქმე არც ასე მარტივად არის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა იცის ისეთი დიქტატორული რეჟიმების არსებობის შესახებ, რომელთაც დასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ და რომლებიც თავისუფალი სამყაროს იდეალისგან ძალიან შორს იდგნენ. უკრაინაში, ამ რეჟიმებისგან განსხვავებით, არსებობს, სულ მცირე, ორი სხვადასხვა მოსაზრება, რომელთაგან თითოეულს არჩევნების გზით მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი თავი გამოეხატა.

რჩება კიდევ ერთი კონტრარგუმენტიც, რომელიც, შესაძლოა, საქართველოში პროსახელისუფლებო ჯგუფებმა წამოაყენონ: იანუკოვიჩის პერსონიდან გამომდინარე, განა შეიძლება პატიოსანი თამაშის წესებზე ვისაუბროთ? პასუხი ამ კითხვაზე არის – შეიძლება.

დემოკრატიაში თამაშის წესებს ორი ან ორზე მეტი მონაწილე ადგენს. ერთი მხარის მიერ დადგენილი თამაშის წესები, რამდენად „პროგრესული“, „ლიბერალური“ თუ „პროდასავლურიც“ უნდა იყოს

■ ერთი მხარის მიერ დადგენილი თამაშის წესები, რამდენად „ლიბერალური“ თუ „პროდასავლურიც“ უნდა იყოს ეს მხარე, დემოკრატიული თითქმის არასდროს არის.

ვანელობენ.

საქართველოს ხელისუფლებისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე ბევრად მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცება. ასეთი მიდგომა გულისხმობს მოსაზრებას, რომ პოსტსაბჭოთა საზოგადოებები (ქართული და უკრაინული) არ არიან მზად დემოკრატიისთვის და ამიტომ, პირველ ეტაპზე საჭიროა მათი ძალდატანებით წარმართვა დასავლური, ევროპული და ამერიკული საზოგადოებებისკენ.

მსგავსი მოსაზრების მქონე ადამიანებისთვის უკრაინაში „პროდასავლური“ კანდიდატის (და ასეთად იწოდება ტიმოშენკო ითვლებოდა) დამარცხება ქვეყანაში დემოკრატიის დამარცხებასაც ნიშნავდა. არადა, უკრაინის მაგალითზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ დაპირისპირებული ჯგუფების არსებობა ჯანსაღი დემოკრატიული ბრძოლის ერთ-ერთი წინაპირობაა.

თუ არ ჩავთვლით უკრაინაში კორუფციის მაღალ დონეს, კანონის მმართველობის სისუსტეს და სხვა სერიოზულ დაბრკოლებებს, ქვეყნის ორ ბანაკად დაყოფა, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, არათუ კატასტროფულ,

ისეთი წარმოდგენა აქვთ, როგორც ზოგიერთ ხელისუფლების წევრსა და პროსახელისუფლებო ჯგუფებს.

დემოკრატია, მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავს, რაც შეიძლება მეტი ინტერესის გათვალისწინებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ინტერესი, თუნდაც ეს პრორუსული იყოს („პრორუსული“ ანუ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მოსურნე), ისეთივე ლეგიტიმურია, როგორც პროდასავლური. მთავარია, რომ ორივე მხარე იცავდეს თამაშის დადგენილ წესებს, არ დაუშვას მეორე მხარის მიერ ხელისუფლების უზურპაცია და მოსახლეობის მეორე ნაწილის ინტერესების უგულებელყოფა.

უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოში პოლიტიკური თამაშის წესები ჯერჯერობით იმ დონეზეც ვერ ჩამოყალიბდა, რომ მმართველ პარტიას არჩევნებში სახელისუფლებო რესურსების გამოყენება მინიმუმამდე შეუმცირდეს ან საერთოდ აეკრძალოს. ჯერჯერობით ზოგიერთი ამომრჩევლისთვისაც სამყარო ისევ ცივი ომით, ორ პოლუსს შორის ბრძოლით გამოიხატება: თუ დასავლეთი იმარჯვებს, სიკეთე იმარჯვებს, თუ რუსეთი – ბოროტება.

ეს მხარე, დემოკრატიული თითქმის არასდროს არის.

იანუკოვიჩის უგულებელყოფა ისევე შეუძლებელია, როგორც მისი ამომრჩევლების სოლიდური არმიის. მათი უგულებელყოფა ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ დიქტატურის დამყარებას ნიშნავს. ეს კი, შეუძლებელია კეთილდღეობის მომტანი იყოს, რადგან დიქტატურა, დემოკრატიისგან განსხვავებით, მხოლოდ ცალკეული ადამიანების ინტერესების დაკმაყოფილებას გულისხმობს, სხვა ადამიანების ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე.


დასაწყისად, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, რომლებიც თავს „ლიბერალებად“ მოიხსენიებენ და „პროდასავლურ“ პოლიტიკას უჭერენ მხარს, მსგავსი წარმოდგენები აქვთ დემოკრატიაზე და „პროდასავლურობაზე“. საინტერესოა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, სამართლიანი პოლიტიკური თამაშის წესების და დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში არაფერი შეცვლილა და ისევ ფუნდამენტური საკითხების გადაჭრაზე გვინევს ფიქრი? ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს კითხვა რიტორიკული ხდება. ■



რადიო „წამწამი“ გეკავშირებათ  
კლუბში „წამწამი“

- ტრადიციული ქართული საზაფხულო
- სოცხალი მუსიკა





**[WWW.LIBERALI.GE](http://WWW.LIBERALI.GE)**

